პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 3 (11007)
შაბათი
4
იანვარი
1958 წ.
ფასი 20 კაპ.

## დ ღ ე ს ნ ო მ ე რ შ ი ა:

კ. ვოროშილოვის დეპეშა ბირმის კავშირის პრეზიდენტს უ ვინ მაუნგს (1-ლი გვერდი).
ნ. ხრუშჩოვის დეპეშა ბირმის კავშირის პრემიერ-მინისტრს უ ნუს (1-ლი გვერდი).
ნ. ბულგანინის დეპეშა ბირმის კავშირის პრემიერ-მინისტრს უ ნუს (1-ლი გვერდი).
საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში (1-ლი გვერდი).
ახალი წლის პირველი დღეები საწარმოებში (1-ლი გვერდი).
საქართველოს კომუნისტური პარტიის XVIII ყრილობის წინ. — კ. სიხარულიძე. — უმაღლესი სასწავლებლებისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაობის გაუმჯობესებისათვის; ვ. ცირეკიძე. — მრეწველობის მართვის გარდაქმნის [illegible] ნაბიჯები (მე-2 გვერდი).
გავაძლიეროთ ბრძოლა [illegible] ტაცებასთან და [illegible] (მე-2 გვერდი).
აჭარაში არ ჩქარობენ [illegible]. თბილისის რაიონი [illegible] ნის ნაპირას (მე-3 გვერდი).
უცხოეთის ინფორმაციები (მე-4 გვერდი).

# სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნები

ამ დღეებში გამოქვეყნდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების ჩატარების შესახებ. არჩევნები შედგება მიმდინარე წლის 16 მარტს.

სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს არჩევნები დიდი პოლიტიკური მნიშვნელობის მოვლენაა ჩვენი დიადი ქვეყნის ხალხთა ცხოვრებაში. მას საბჭოთა ადამიანები ეგებებიან კომუნიზმის მშენებლობის გზაზე მოპოვებული ბრწყინვალე გამარჯვებებით. როგორც ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვი აღნიშნავდა პარტიის XX ყრილობაზე, „საბჭოთა ქვეყანა ახლა მკვეთრ აღმავლობას განიცდის. ხატოვანად რომ ვთქვათ, ჩვენ ავედით ისეთ მთაზე, ისეთ მაღლობზე, საიდანაც უკვე თვალნათლივ მოჩანს ფართო ჰორიზონტები საბოლოო მიზნისაკენ — კომუნისტური საზოგადოებისაკენ მიმავალ გზაზე".

საბჭოთა ხელისუფლების ორმოცი წლის მანძილზე, დროის ამ მოკლე მონაკვეთში ჯერ არნახულ სიმაღლეზე ავიდა ჩვენი ქვეყნის ეკონომიკა, მეცნიერება, ტექნიკა, კულტურა. განმტკიცდა და გაძლიერდა ხალხთა ურღვევი ლენინური მეგობრობა — ჩვენი წინსვლისა და გამარჯვებების უშრეტი წყარო.

ეს წარმატებები შედეგია ჩვენი ქვეყნის ხალხთა შემოქმედებითი აღმშენებლობითი შრომისა, კომუნისტური პარტიის მიერ შემუშავებული პოლიტიკის განუხრელი განხორციელებისა, პოლიტიკისა, რომელიც შეესაბამება საბჭოთა ხალხის სასიცოცხლო ინტერესებს და მისი უსაზღვრო მხარდაჭერით სარგებლობს.

ახლახან გავიდა 1957 წელი, რომელიც საბჭოთა ხალხის ცხოვრებაში ღირსშესანიშნავი წელი იყო. იგი აღინიშნა ახალი გამარჯვებებით სახალხო მეურნეობის, მეცნიერების, კულტურის ყოველ უბანზე. ამ წარმატებებში თავისი წვლილი შეიტანეს ჩვენი რესპუბლიკის მშრომელებმა. მრავალმა საწარმომ ვადამდე ადრე, გადაჭარბებით შეასრულა წლიური გეგმა. რესპუბლიკის მაღაროელებმა 1957 წლის 11 თვესა და 25 დღეში 5,1 პროცენტით მეტი სათბობი ამოიღეს, ვიდრე მთელ 1956 წელს. ასევე სასახელო წარმატებები მოიპოვეს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მუშაკებმა, რომლებიც თავდადებით იბრძვიან კომუნისტური პარტიის მიერ დასახული იმ უმნიშვნელოვანესი ამოცანის განსახორციელებლად, რომ უახლოეს წლებში დავეწიოთ ამერიკის შეერთებულ შტატებს ერთ სულ მოსახლეზე ხორცის, რძისა და კარაქის წარმოების მხრივ. კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა სახელმწიფოს ჩააბარეს ათას ტონობით მეტი ჩაი, ყურძენი, ხილი, ვიდრე 1956 წელს.

გასული წელი მსოფლიო-ისტორიული გამარჯვებებით აღნიშნეს საბჭოთა მეცნიერებმა. დედამიწის ორი საბჭოთა თანამგზავრის გაშვებით დაიწყო ახალი ერა კაცობრიობის მიერ ბუნების დამორჩილების საქმეში.

განუხრელად უმჯობესდება კომუნიზმის მშენებელი საბჭოთა ადამიანების კეთილდღეობა. ბედნიერი და საამური ცხოვრება დამკვიდრდა ჩვენი ქვეყნის შემოქმედებითი შრომის ადამიანთა ოჯახებში.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნები ეწყობა ისეთ ვითარებაში, როდესაც მშვიდობის დიდი მედროშე — საბჭოთა კავშირი კვლავ აქტიურად იბრძვის საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისათვის, მსოფლიოს ხალხთა შორის მეგობრობის განმტკიცებისათვის, მთელ მსოფლიოში მშვიდობისათვის.

უმაღლესი საბჭოს წინა არჩევნებიდან გასულ ოთხ წელიწადში კიდევ უფრო განვითარდა საბჭოთა დემოკრატიზმი, გაძლიერდა მშრომელთა შემოქმედებითი აქტივობა და ინიციატივა, ხალხის მასების ფართო მონაწილეობა სახელმწიფო მართვაში, მთელ იმ გიგანტურ ორგანიზატორულ-სამეურნეო მუშაობაში, რომელიც ჩვენს ქვეყანაში წარმოებს. საგრძნობლად გაფართოვდა მოკავშირე რესპუბლიკების და მათი უმაღლესი საბჭოების უფლებები, ამაღლდა ადგილობრივი საბჭოების როლი სამეურნეო და კულტურულ ცხოვრებაში.

საბჭოთა საარჩევნო სისტემა ყველაზე დემოკრატიულია მთელ მსოფლიოში. ჩვენს ქვეყანაში სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების არჩევნები ჭეშმარიტად თავისუფალი, დემოკრატიული, ხალხურია. ხალხი თავისი წრიდან საუკეთესო წარმომადგენლებს გზავნის სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებში.

არჩევნებისათვის მზადების დღეებში პარტიული ორგანიზაციების პასუხსაგები მოვალეობაა განუმარტონ მშრომელებს ის ამოცანები, რომლებიც ჩვენი ქვეყნის წინაშე დგას კომუნისტური საზოგადოების მშენებლობაში, დარაზმონ ისინი პარტიის XX ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა შესასრულებლად.

აგიტატორებმა, პროპაგანდისტებმა ვრცლად უნდა გააცნონ მშრომელებს საბჭოთა მთავრობის საგარეო პოლიტიკა, თანამედროვე საერთაშორისო ვითარება, კონკრეტული ღონისძიებანი, რომლებსაც საბჭოთა კავშირი იღებს საერთაშორისო დაძაბულობის შენელების, მშვიდობის შენარჩუნებისა და განმტკიცებისათვის. არჩევნებისათვის მზადების პერიოდში მთელი სააგიტაციო-მასობრივი მუშაობა ხელს უნდა უწყობდეს მშრომელთა პოლიტიკური და შრომითი აქტივობის ახალ აღმავლობას, კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მიერ დასახულ ამოცანათა პირნათლად განხორციელებას.

ამ დიდი პოლიტიკური კამპანიის მაღალ დონეზე ჩატარებისათვის ადგილობრივმა საბჭოებმა უნდა გამოიყენონ წარსული საარჩევნო კამპანიების მდიდარი გამოცდილება, ფართოდ ჩააბან მშრომელები არჩევნებისათვის მზადების საქმეში.

მშობლიური კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის გარშემო მჭიდროდ დარაზმული საბჭოთა ხალხი უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის ემზადება როგორც დიდი საყოველთაო-სახალხო დღესასწაულისათვის. სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს არჩევნები იქნება მკაფიო დემონსტრაცია პარტიის, მთავრობის, ხალხის ერთიანობისა, საბჭოთა ადამიანების ურყევი და მტკიცე გადაწყვეტილებისა კომუნისტური პარტიის, მისი ლენინური ცენტრალური კომიტეტის ბრძნული ხელმძღვანელობით იარონ წინ, კომუნიზმის გამარჯვებისაკენ.

## დეპეშა

### მის აღმატებულებას უ ვინ მაუნგს
### ბირმის კავშირის პრეზიდენტს

რანგუნი

ღირსშესანიშნავი წლისთავის — ბირმის დამოუკიდებლობის ათი წლისთავის გამო ვსარგებლობ შემთხვევით, რომ გადმოგცეთ თქვენ და თქვენი სახით მთელ ბირმელ ხალხს უაღრესად გულთბილი და გულწრფელი მილოცვა და გისურვოთ წარმატება საბჭოთა კავშირის ყველა ხალხისა და პირადად ჩემი სახელით.

თქვენი შესანიშნავი ქვეყნის ეკონომიკისა და კულტურის განვითარებაში შემდგომ წარმატებათა საიმედო საწინდარია მშვიდობისმოყვარული საგარეო პოლიტიკა, რომელიც ემყარება ყველა ქვეყანასთან მშვიდობიანი თანაარსებობისა და თანამშრომლობის პრინციპებს.

ჩემთვის სასიამოვნოა აღვნიშნო, რომ საბჭოთა კავშირისა და ბირმის ბედნიერად დამკვიდრებული მეგობრული ურთიერთობა წლითიწლობით მტკიცდება და ვითარდება მშვიდობის ინტერესებისათვის და ჩვენი ქვეყნების ხალხთა ურთიერთსასარგებლოდ.

**კ. ვოროშილოვი**

**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე**

მოსკოვი, კრემლი
1958 წლის 3 იანვარი.

## დეპეშა

### მის აღმატებულებას უ ნუს
### ბირმის კავშირის პრემიერ-მინისტრს

რანგუნი

ბირმის კავშირის დამოუკიდებლობის მეათე წლისთავის გამო გადმოგცემთ თქვენ და მთელ ბირმელ ხალხს უაღრესად გულწრფელ და გულთბილ მილოცვას და გისურვებთ ბედნიერებასა და აყვავებას.

საბჭოთა ხალხს ახსოვს ბირმელი ხალხის გმირული ღონისძიებანი, რომელმაც ათი წლის წინათ მოიპოვა დამოუკიდებლობა, რის შედეგადაც ბირმამ დამსახურებული ადგილი დაიკავა მშვიდობისმოყვარე ხალხთა ოჯახში. საბჭოთა ხალხი მხურვალედ უსურვებს ბირმის კავშირის მთავრობასა და ხალხს შემდგომ წარმატებებს ეროვნული სუვერენიტეტის განმტკიცების, ეკონომიკისა და კულტურის განვითარების გზაზე.

ჩვენს დროში მშვიდობის საქმისათვის სულ უფრო მეტი მნიშვნელობა აქვს საბჭოთა კავშირისა და ბირმის მეგობრულ, წლითიწლობით მზარდ ურთიერთობას, რადგან მათი მაგალითით შეიძლება დავინახოთ, თუ რა ბედნიერად შეიძლება დამკვიდრდეს ხალხთა ურთიერთობა მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპების საფუძველზე.

**ნ. ხრუშჩოვი**

მოსკოვი
1958 წლის 3 იანვარი.

## დეპეშა

### მის აღმატებულებას უ ნუს
### ბირმის კავშირის პრემიერ-მინისტრს

რანგუნი

ბირმის კავშირის დამოუკიდებლობის სახელოვანი მეათე წლისთავის გამო მოხარული ვარ გადმოგცეთ საბჭოთა მთავრობისა და ხალხის სახელით, აგრეთვე პირადად ჩემგან თქვენ და თქვენი სახით შრომისმოყვარე ბირმელ ხალხს მხურვალე მილოცვა და გისურვოთ შემდგომი წარმატებანი აყვავებული სახელმწიფოს შექმნაში.

მსოფლიოს ხალხებში დამსახურებული პატივისცემით სარგებლობს მშვიდობისმოყვარული საგარეო პოლიტიკა ბირმის კავშირისა, რომელიც აქტიურად იბრძვის ხალხთა შორის მშვიდობის დასაცავად.

თანამშრომლობისა და მშვიდობიანი თანაარსებობის პოლიტიკის მკაფიო გამოვლინებაა საბჭოთა კავშირისა და ბირმის მეგობრობა, რომელიც წლითიწლობით მტკიცდება და ვითარდება ჩვენი ქვეყნების ხალხთა საკეთილდღეოდ, მთელი მსოფლიოს მშვიდობის საკეთილდღეოდ.

**ნ. ბულგანინი**

მოსკოვი, კრემლი
1958 წლის 3 იანვარი.

## დეპეშა

საქართველოს სსრ,
დუშეთის რაიონის სოფელ მლეთის კოლმეურნეობის მწველავს
**ნინო სეთურიძეს**

ძვირფასო დაო ნინო! ახალი წლის დღეებში ყველა ცდილობს ახალი წარმატებები მოიპოვოს. ჩვენ, მწველავები, ერთმანეთს მეგობრულად ვეჯიბრებით იმისათვის, რომ მეტი რძე მივცეთ სამშობლოს. ამიტომ სულით და გულით გისურვებთ ახალ წელს ახალ გამარჯვებას.

მე ნაკისრი ვალდებულება შევასრულე. 1957 წელს საშუალოდ ერთ ძროხაზე 3.450 ლიტრი რძე მივიღე. ახალ სამეურნეო წელს მეტ წარმატებას მივაღწევ. ჩემი სურვილია 1958 წელს კვლავ შევხვდეთ ერთმანეთს. გეწვიეთ გუნიბის რაიონის სოფელ ჰოხში. კიდევ უფრო განვამტკიცოთ წარმატებები, ჩვენი საქმიანი მეგობრობა.

**ამინათ ახმედოვა,**
გუნიბის რაიონის სოფელ ჰოხის კოლმეურნეობის მწველავი.
დაღესტნის ასსრ.

# ახალი წლის პირველი დღეები საწარმოებში

**ფართოდ გავაჩაღოთ საქართველოს კომპარტიის XVIII ყრილობის და საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების აღსანიშნავი სოციალისტური შეჯიბრება.**

★

## ახალი საამქროს პირველი პროდუქცია

რ უ ს თ ა ვ ი. (საქ. კორ.). მაღალი საწარმოო მაჩვენებლებით დაამთავრა გასული სამეურნეო წელი აზოტოვანი სასუქების ქარხნის კოლექტივმა. საერთო პროდუქციის გამოშვების 1957 წლის გეგმა ქარხანამ 24 დეკემბრისათვის გაანაღდა და წლის ბოლომდე სამშობლოს გეგმის გადამეტებით მისცა მილიონობით მანეთის პროდუქცია.

შრომითი აღმავლობის ვითარებაში დაიწყო ახალი წელი. პირველი ორი დღის დავალება ქარხანამ 120 პროცენტით შეასრულა. დაწინაურდა მესამე საამქროს კომკავშირული ცვლა, რომელსაც მ. კაპანაძე ხელმძღვანელობს. ახალი წლის პირველ ორ დღეს ცვლამ გეგმის ზევით 60 ტონამდე ამონიუმის გვარჯილა გამოუშვა.

დავალება დიდი გადაჭარბებით გაანაღდეს აგრეთვე აირის მწნეხავი, აირის გამწმენდი და სინთეზური ამონიაკის საამქროებმა. გეგმის გადაჭარბებით შესრულებისათვის ბრძოლაში თავი ისახელეს იმ ცვლებმა, რომლებსაც გ. ქებაძე, ს. ეიხე და მ. გრიგორიანი ხელმძღვანელობენ.

გასული წლის 31 დეკემბერს საზეიმო ვითარებაში საექსპლოატაციოდ გადაეცა კალიუმის პერმანგანატის საამქრო. ახალი საამქროს საექსპლოატაციოდ გადაცემის დროს შრომითს ვახტზე იდგა ლ. პეტრიაშვილის ცვლა. ცვლის უფროსმა პეტრიაშვილმა საამქროს კოლექტივის სახელით ვალდებულება აიღო მიმდინარე წელს სამშობლოს მისცეს მეტი და მაღალხარისხოვანი პროდუქცია. ამ საამქრომ უკვე გამოუშვა პირველი პროდუქცია.

მიმდინარე წელს საექსპლოატაციოდ გადაეცემა ორი ახალი საამქრო.

აზოტოვანი სასუქების ქარხნის კოლექტივი შრომითს წარმატებებს უძღვნის საქართველოს კომპარტიის XVIII ყრილობას და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებს. ქარხანაში დღითიდღე ფართოვდება ყრილობისა და არჩევნების აღსანიშნავი სოციალისტური შეჯიბრება.



თბილისის სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატში მუშაობენ ტყუპები — დები მარიამ და მანია ცისკარიშვილები. სამი წლის წინათ გოგონები საბავშვო სახლიდან მოვიდნენ აქ. წარმოებაში შეიძინეს მათ მეგობრები, მიიღეს გადამხვევის კვალიფიკაცია, ახალ წელს დები ახალი საწარმოო წარმატებებით შეხვდნენ. თავიანთი გამომუშავების ნორმებს ისინი სისტემატურად 150-200 პროცენტით ასრულებენ. ს უ რ ა თ ზ ე: დები ცისკარიშვილები მუშაობის დროს.

ფოტო გ. კიკვაძისა.
(საქდესის ფოტოქრონიკა).

## ათასობით ტონა ტვირთი — გეგმის გადამეტებით

ამიერკავკასიის რკინიგზის ტრანსპორტის საწარმოთა შორის თბილისის საელმავლო დეპო მოწინავეთა რ ი გ ე ბ შ ი დგას. 1957 წელს წარმატებით იმუშავეს მძიმეწონოსნებმა და 7.200 მძიმე წონის მატარებლით ნორმის გადამეტებით 1.854.500 ტონა სახალხო-სამეურნეო ტვირთი გადაიტანეს დანიშნულებისამებრ.

დგას რა საქართველოს კომპარტიის XVIII ყრილობის და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების აღსანიშნავ შრომითს ვახტზე, დეპოს კოლექტივმა დ ი დ ი აღმავლობით დ ა ი წ ყ ო ბრძოლა 1958 წლის დავალებათა შესრულებისათვის. 1 და 2 იანვარს 38 მძიმე წონის მატარებლით ნორმის ზევით გადატანილია 10.060 ტონა სახელმწიფო ტვირთი.

მძიმე წონის მატარებელთა ტარებაში თავი ისახელა ო. კალატოზიშვილმა, რომელმაც ალსტაფიდან თბილისამდე ნორმაზე 1.720 ტონით მეტი მძიმე წონის მატარებელი მოიყვანა. იმავე დღეს გ. ნანიტაშვილმა ხაშურიდან თბილისამდე ნორმაზე 900 ტონით მეტი ტვირთი გადმოიტანა.

მიმდინარე წლის გადიდებულ საწარმოო დავალებათა განაღდებას წარმატებით შეუდგნენ ელექტროზეინკლები: ლ. მოსემღვდლიშვილი, პ. ცაცანაშვილი, ვ. ტატანაშვილი, ზეინკალი ზ. ჩიკვაიძე, შემდუღებელი ა. გურგენიძე, ხარატი ა. გვენცაძე, რომლებმაც გასულ წელს ორი წლის ნორმა შეასრულეს, ხოლო მიმდინარე სამეურნეო წლის 2 იანვარს დავალება 220-230 პროცენტით გაანაღდეს.

## დედამიწის მეორე ხელოვნური თანამგზავრის მოძრაობის შესახებ

3 იანვრის დილის 6 საათისათვის მეორე ხელოვნურმა თანამგზავრმა 858-ჯერ შემოუარა დედამიწას.

მოწმენდილ ამინდში მეორე ხელოვნური თანამგზავრის დანახვა შეუიარაღებელი თვალით შეიძლება მზის ჩასვლის შემდეგ ჩრდილოეთ განედის 53 გრადუსიდან 63 გრადუსამდე და მზის ამოსვლის წინ სამხრეთი განედის 22 გრადუსიდან 51 გრადუსამდე.

მოსკოვის რაიონში მეორე ხელოვნური თანამგზავრი 3 იანვარს გაივლის 17 საათსა და 04 წუთზე სამხრეთ-დასავლეთიდან ჩრდილო-აღმოსავლეთის მიმართულებით. (საკდესი).

## გეომაგნიტური პოლუსისაკენ ლაშქრობის მონაწილენი მირნში დაბრუნდნენ

31 დეკემბერს დაბა მირნში დაბრუნდა მარხილ-ტრაქტორის მატარებელი, რომელმაც 16 დეკემბერს მიაღწია სამხრეთ გეომაგნიტურ პოლუსს, სადაც დაარსებულია სამეცნიერო სადგური ვოსტოკი. უძნელეს პირობებში, იქ, სადაც ჯერ ადამიანს ფეხი არ დაუდგამს, დიდი გზაა გავლილი. უკან გამობრუნებულმა პოლარელებმა ორ კვირაში 1410 კილომეტრი გამოიარეს.

მეორე და მესამე კონტინენტური ანტარქტიკული ექსპედიციების მონაწილეებმა საზეიმო შეხვედრა მოუწყეს თავიანთ ამხანაგებს. მირნის ცენტრში გაიმართა მიტინგი, სადაც უმაგალითო ლაშქრობიდან დაბრუნებულთ მიესალმნენ ექსპედიციათა ხელმძღვანელები ე. ტოლსტიკოვი და ა. ტრეშნიკოვი.

საზეიმო შეხვედრის შემდეგ დიდხანს გაგრძელდა საუბრები და გამოკითხვა მეგობრულ წრეში. დაღლილი, გამხდარი, მაგრამ მხნე მონაწილენი ლაშქრობისა დაბრუნდნენ მირნის კოლექტივში, როგორც მშობლიურ ოჯახში.

**ტიხონ პალიევსკი**
(საკდესის კორ.).

მირნი, 1958 წლის 2 იანვარი.

# საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში

ჩვენს ქვეყანაში ახალგაზრდობა განსაკუთრებული ყურადღებით სარგებლობს. კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის დაუცხრომელი ზრუნვის მეოხებით ჩვენს ქალიშვილებსა და ჭაბუკებს შექმნილი აქვთ ნაყოფიერი შრომის, სწავლის, გონივრული და სასარგებლო დასვენების ყველა პირობა.

წლითიწლობით სულ უფრო მაღლდება საბჭოთა ადამიანების კულტურული დონე. შორეულ წარსულს ჩაბარდა, როგორც ძველი დროის ნაშთი, მოსახლეობაში წერა-კითხვის უცოდინარობა. ახლა ჩვენში განხორციელებულია საყოველთაო შვიდწლიანი სწავლება და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებით ქალაქებსა და სოფელ ადგილებში შემოღებულ იქნება საყოველთაო საშუალო განათლება.

შორს არ არის ის დღე, როცა მუშათა კლასისა და კოლმეურნე გლეხობის რიგები შეივსება უპირატესად საშუალო განათლების მქონე ახალგაზრდებით და ამრიგად წარმატებით გადაიჭრება ისტორიული ამოცანა — ყველა მუშა და გლეხი კულტურული და განათლებული გავხადოთ.

საშუალო განათლების თანმიმდევრულ განხორციელებასთან და უმაღლეს სასწავლებლებში საწარმოო სტაჟის მქონე ახალგაზრდობის მიღების გაფართოებასთან დაკავშირებით დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა მიენიჭა წარმოებაში იმ ახალგაზრდობის დროული ორგანიზებული ჩაბმის საკითხს, რომელმაც საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლები დაამთავრა. ცნობილია, რომ უმაღლეს და საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში იღებენ საშუალო სკოლების კურსდამთავრებულთა მხოლოდ ნაკლებ ნაწილს. ამიტომ ამოცანა ახლა ის არის, რომ საშუალო განათლების მქონე ახალგაზრდობის მთელი დანარჩენი მასა მოვიზიდოთ სამუშაოდ სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგში.

შეიძლება მოვიყვანოთ იმის მრავალი მაგალითი, თუ რა სიხარულით მიდის საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში სამუშაოდ ჩვენი შესანიშნავი საბჭოთა ახალგაზრდობა, შეგნებული აქვს რა თავისი პატრიოტული მოვალეობა.

მიუხედავად ამისა, წარმოებაში საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების კურსდამთავრებული ახალგაზრდობის ორგანიზებულად მიზიდვის საქმეში, აგრეთვე ახალგაზრდა მუშების პროფესიული მომზადების ორგანიზაციაში სერიოზული ნაკლოვანებებია.

საქართველოს კომპარტიის რაიონული, საქალაქო და საოლქო კომიტეტები, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები, სამხრეთ ოსეთის საოლქო აღმასკომი, მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომები, აგრეთვე რესპუბლიკის პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციები ჯერ კიდევ არ აქცევენ ჯეროვან ყურადღებას წარმოებაში საშუალო სკოლების კურსდამთავრებული ახალგაზრდობის ჩაბმის საქმეს და რესპუბლიკის ბევრ საწარმოში და მშენებლობაზე ურიგდებიან ახალგაზრდა მუშების პროფესიული მომზადების არადამაკმაყოფილებელ მდგომარეობას.

განიხილეს რა სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების კურსდამთავრებული ახალგაზრდობის ჩაბმის, აგრეთვე ახალგაზრდა მუშების პროფესიული მომზადების ორგანიზაციის საკითხი, საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ დაამტკიცეს 1958 წლის გეგმა, რომლის მიხედვით სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში ჩაბმულ უნდა იქნან საშუალო სკოლების კურსდამთავრებული ახალგაზრდები და მოზარდნი, რომლებსაც საშუალო განათლება არ მიუღიათ, სულ 13.800 ჭაბუკი და ქალიშვილი, და გაანაწილეს ისინი საქართველოს სსრ სამინისტროების, უწყებების, საწარმოებისა და მშენებლობების ნიხედვით.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ დაავალეს პარტიის საოლქო, საქალაქო, რაიონულ კომიტეტებს, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის საოლქო აღმასკომს, საქართველოს ალკკ ცენტრალურ კომიტეტს, მშრომელთა დეპუტატების რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომებს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული მუშათა ორგანიზებული შეგროვებისა და შრომითი მოწყობის მთავარ სამმართველოს და შრომითი რეზერვების რესპუბლიკურ სამმართველოს განიხილონ საშუალო სკოლების კურსდამთავრებული ახალგაზრდობისა და იმ მოზარდთა შრომითი მოწყობის საკითხი, რომლებსაც საშუალო განათლება არ მიუღიათ.

აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის საოლქო აღმასკომს, მშრომელთა დეპუტატების რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომებს საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული მუშათა ორგანიზებული შეგროვებისა და შრომითი მოწყობის მთავარ სამმართველოსთან ერთად წინადადება მიეცათ დააწესონ ყველა საწარმოსათვის, მშენებლობისა და ორგანიზაციისათვის ჯავშანი სამუშაოზე და საწარმოო სწავლებისათვის საშუალო სკოლების კურსდამთავრებული ახალგაზრდობისა და იმ მოზარდთა მისაღებად, რომელთაც საშუალო განათლება არა აქვთ.

რესპუბლიკის საწარმოების, მშენებლობების, მანქანა-ტრაქტორთა სადგურების, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა ორგანიზაციების ხელმძღვანელებს დაევალათ სამუშაოდ და სასწავლებლად მიიღონ ახალგაზრდობა და მოზარდები მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომების საგზურებით. საშუალო სკოლის კურსდამთავრებულმა ახალგაზრდობამ, როგორც წესი, უნდა მიიღოს ისეთი სპეციალობა და პროფესია, რომელიც მოითხოვს მაღალ ზოგადსაგანმანათლებლო დონეს. ახალგაზრდა მუშებისათვის უზრუნველყოფილ უნდა იქნას კარგი პროფესიული მომზადება, მათ უნდა შეუქმნან საჭირო საბინაო-საყოფაცხოვრებო პირობები. საქართველოს შრომითი რეზერვების რესპუბლიკურ სამმართველოს დაევალა შეიმუშაოს სასწავლო გეგმები და პროგრამები, სახელმძღვანელოები და დამხმარე წიგნები, აგრეთვე განახორციელოს სასწავლო-მეთოდური კონტროლი წარმოებაში მუშათა მომზადების მდგომარეობისადმი.

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრომ და საქართველოს შრომითი რეზერვების რესპუბლიკურმა სამმართველომ უნდა შეიმუშაონ მანქანა-ტრაქტორთა სადგურებისა და საბჭოთა მეურნეობებისათვის მექანიზატორთა და სასოფლო-სამეურნეო წარმოების სხვა პროფესიების მუშათა კადრების მომზადების 1958-1960 წლების გეგმა, ამასთან გაითვალისწინონ სოფლის მეურნეობის ნამდვილი მოთხოვნილება კვალიფიციურ მუშათა კადრებზე და გააფართოონ სოფლის მეურნეობის მექანიზაციის სასწავლებელთა ქსელი.

შრომითი რეზერვების რესპუბლიკური სამმართველოს სისტემაში საჭიროდ იქნა მიჩნეული მოეწყოს 1958-1960 წლებში 4-5 ტექნიკური სასწავლებელი საშუალო განათლების მქონე ახალგაზრდობიდან კვალიფიციური მუშების მოსამზადებლად. საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს წინადადება მიეცა ყოველწლიურად გაითვალისწინოს კაპიტალდაბანდებათა გეგმებში ახალი მშენებლობა ან არსებული შენობების გამოყენება ტექნიკური სასწავლებლების მოსაწყობად.

პარტიის თბილისისა და ქუთაისის საქალაქო კომიტეტებს, საქალაქო აღმასკომებსა და შრომითი რეზერვების რესპუბლიკურ სამმართველოს საწარმოთა და მშენებლობათა ხელმძღვანელებთან ერთად დაევალათ მოაწყონ 1958 წლის 1 სექტემბრისათვის თბილისსა და ქუთაისში თითო ტექნიკური სასწავლებელი იმ ახალგაზრდობიდან კვალიფიციური მუშების მოსამზადებლად, რომელიც საშუალო სკოლას ამთავრებს, ამასთან ეს სასწავლებლები უზრუნველყონ საჭირო შენობებით.

საქართველოს პროფსაბჭოს და ალკკ ცენტრალურ კომიტეტს დაევალათ დააწესონ კონტროლი წარმოებაში საშუალო სკოლების კურსდამთავრებული ახალგაზრდობისა და მოზარდების მიღებისადმი.

ეჭვი არ არის, რომ ჩვენი სახელოვანი ახალგაზრდობა კვლავაც აქტიურ მონაწილეობას მიიღებს საბჭოთა ხალხის შრომითს საქმეებში სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ყველა უბანზე, რომ თავისი შრომითი მონაწილეობით იგი ღირსეულ წვლილს შეიტანს რესპუბლიკის სოციალისტური მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ახალ აღმავლობაში.

კომუნისტი
შაბათი, 4 იანვარი, 1958 წ. № 3 (11007).

საქართველოს კომუნისტური პარტიის XVIII ყრილობის წინ

# უმაღლესი სასწავლებლებისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაობის გაუმჯობესებისათვის

### თბილისის ორჯონიკიძის რაიონის პარტიულ კონფერენციაზე

— ის გარემოება, — განაცხადა საანგარიშო მოხსენებაში პარტიის თბილისის ორჯონიკიძის რაიკომის პირველმა მდივანმა კ. გარდაფხაძემ, — რომ რაიონში თავმოყრილია რესპუბლიკის უმაღლესი სასწავლებლებისა და სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტების დიდი უმრავლესობა, განსაზღვრავს იმას, თუ რაოდენ პასუხსაგები ამოცანები აკისრიათ რაიონის პარტიულ ორგანიზაციებს ახალგაზრდა კადრების მომზადებისა და სამეცნიერო მუშაობისადმი ხელმძღვანელობის საქმეში.

პარტიულ-პოლიტიკური და ორგანიზაციული მუშაობის ერთგვარმა გაუმჯობესებამ, აღინიშნა კონფერენციაზე, რასაც ხელი შეუწყო რაიკომის სტრუქტურის რეორგანიზაციამ, დადებითი გავლენა იქონია სტუდენტთა სასწავლო-აღმზრდელობითი და სამეცნიერო საქმიანობის შემდგომ ამაღლებაზე. მაგრამ როგორც უმაღლესი სასწავლებლების, ისე სამეცნიერო დაწესებულებების მუშაობას ჯერ კიდევ არსებითი ნაკლოვანებები ახასიათებს. დაბალია სტუდენტთა აკადემიური წარმატების დონე, ახალგაზრდობის ერთი ნაწილი შრომისადმი ბატონკაცურ დამოკიდებულებას იჩენს. არ სრულდება სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის გეგმები, მომზადებული შრომების საკმაოდ დიდი ნაწილი მეცნიერულად სუსტი და არააქტუალურია.

ლექციებისა და სემინარების ხარისხის შემდგომი ამაღლების საქმეში დიდი მოვალეობა აკისრიათ ფაკულტეტების სამეცნიერო საბჭოებს, მაგრამ ისინი სასწავლო პროცესის გაუმჯობესების ამ ძირითად ფორმას ზოგჯერ საჭირო ყურადღებას არ აქცევენ.

ამის ნათელსაყოფად საკმარისია აღინიშნოს, რომ დაახლოებით ერთი წლის მანძილზე სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს ერთხელაც არ უმსჯელია კათედრების მუშაობისა და ცალკეული დისციპლინების სწავლების შესახებ.

სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტების მიერ მეცნიერულად დამუშავებული ბევრი ღონისძიება ხშირად პრაქტიკულად განუხორციელებელი რჩება, კარგავს თავის მნიშვნელობას. მაგალითად, ჰიდროტექნიკისა და მელიორაციის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის მიერ ამ უკანასკნელ წლებში მეცნიერულად დამუშავებული ღონისძიებანი ჩაის პლანტაციების მორწყვის, ალაზნის ველის მარილოვანი მიწების გამოყენების, ხელოვნური დაწვიმების ორგანიზაციის საქმეში ჯერ კიდევ არ არის დანერგილი პრაქტიკაში. მეცნიერულად დამუშავებულ ამ სასარგებლო ღონისძიებათა განხორციელების გაჭიანურებაში საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროებსაც მიუძღვით ბრალი.

სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის პარტიული კომიტეტის მდივანმა ნ. რამიშვილმა თავის გამოსვლაში ბევრი საყურადღებო მაგალითი დაასახელა იმის ნათელსაყოფად, რომ ინსტიტუტში ჯერ კიდევ ვხვდებით მახინჯ მოვლენებს. იყო შემთხვევები, თქვა მან, როცა ინსტიტუტის ზოგიერთი ლექტორი მისაღები გამოცდების წინ „ამზადებდა" აბიტურიენტებს და ფულს ართმევდა მათ.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პრორექტორმა სასწავლო ნაწილში პროფესორმა გ. ხავთასმა ილაპარაკა უნივერსიტეტში სასწავლო-აღმზრდელობითი და სამეცნიერო მუშაობის ცალკეულ მიღწევებზე, მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებებზე, ამასთან დააყენა საკითხი, რომ მოეწყოს უმაღლესი სასწავლებლების მუშაობის გამოცდილების ურთიერთგაზიარება.

უნდა აღინიშნოს, რომ კონფერენციაზე საკმაოდ არ იყო გამახვილებული ყურადღება შინაპარტიული მუშაობის საკითხებზე, პარტიული ორგანიზაციების ორგანიზატორულ საქმიანობაზე. სიტყვებით გამოსული დელეგატების დიდი უმრავლესობა სამეურნეო საქმიანობის ცალკეულ მიღწევათა და ნაკლოვანებათა ჩამოთვლით კმაყოფილდებოდა.

კონფერენციაზე სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხ. ი. ს. დოლიძემ. მან კონფერენციის მონაწილეთა ყურადღება გაამახვილა რაიონის უმაღლესი სასწავლებლებისა და სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტების საქმიანობის გაუმჯობესების აუცილებლობაზე, კომუნისტების როლზე იდეოლოგიური მუშაობის უკეთ მოწყობის საქმეში.

* * *

შედგა ახლად არჩეული რაიკომის პლენუმი. პარტიის თბილისის ორგანიზაციის ორჯონიკიძის რაიკომის პირველ მდივნად არჩეულ იქნა ამხ. კ. გარდაფხაძე, მეორე მდივნად—ამხ. ე. ღლონტი, მდივნად — ამხ. მ. დანელია.

**კ. სიხარულიძე.**



თბილისის აბრეშუმის ფაბრიკის კოლექტივმა პროდუქციის გამოშვების წლიური გეგმა ვადამდე შეასრულა. ახლახან ქართველმა ფეიქრებმა ბულგარეთში გაგზავნეს დიდი რაოდენობით სხვადასხვა ფერის მაღალხარისხოვანი კრეპდეშინის ქსოვილები. ს უ რ ა თ ზ ე: თბილისის აბრეშუმის ქარხნის წუნმდებლები ე. რაზმაძე და ლ. მურჯიკნელი სინჯავენ ბულგარეთში გასაგზავნ ქსოვილებს. ფოტო გ. კიკვაძისა. (საქდესის ფოტოქრონიკა).

# აჭარაში არ ჩქარობენ

### გაზეთ „კომუნისტის" რეიდი

წელს აჭარელმა მეციტრუსეებმა მაღალნაყოფიერად იმუშავეს და დიდძალი ნაყოფი მისცეს სამშობლოს. გეგმის გადამეტებით სახელმწიფოს ჩაბარდა 143 მილიონი ცალი ციტრუსოვანთა ნაყოფი.

ორგანული სასუქების სრულად გამოყენებას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ციტრუსოვანთა ნაყოფის უხვი და მყარი მოსავლის მიღებაში. ზოგგან ეს კარგად გაითვალისწინეს. ქობულეთის რაიონის აჭყვის კოლმეურნეობა „წითელი ოქტომბერი", სოფელ დაგვის ჩაისუბნის ლენინის სახელობის, ზედა ულიანოვკის სტურუას სახელობის, ქვედა ულიანოვსკის კალინინის სახელობის, ბათუმის რაიონის სოფელ თხილნარის გორკის სახელობის კოლმეურნეობები გონივრულად და მაქსიმალურად იყენებენ ორგანულ სასუქებს. მათ მოწყობილი აქვთ კაპიტალური ნაკელსაცავები.

მიუხედავად ამისა, ციტრუსოვანთა მოვლა-პატრონობასა და გამოზამთრებაში სერიოზული ნაკლოვანებებია. საზამთრო სამუშაოები გააჭიანურეს ქობულეთის რაიონის სოფელ გვარას ენგელსის სახელობის, ხუცუბნის სტალინის სახელობის, ზედა კვირიკეს, ლეღვას, ბათუმის რაიონის სოფელ ერგეს ლენინის სახელობის, მეჯინისწყლის კოლმეურნეობებში. აღნიშნულ კოლმეურნეობათა ზოგიერთ ნაკვეთზე დაცული არ არის მიწის შემოყრის სიმაღლე, ნარგავების ირგვლივ არ გაუკეთებიათ ნალისებრი კვლები, დამთავრებული არ არის სადრენაჟო არხების გაწმენდა-გასუფთავება, არ ზრუნავენ ახალი არხების გაყვანისათვის.

ზემდგომი ორგანოების დადგენილებით აჭარაში 17 ათასი ტონის ტევადობის ნაკელსაცავები და 2.400 კუბმეტრი წუნწუხსაგროვებლები უნდა აშენდეს. ამ დადგენილების საფუძველზე პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტმა და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭომ ჯერ კიდევ 1 ნოემბერს დასახეს ღონისძიება და ნაგებობათა დამთავრების ვადად დააწესეს 1958 წლის 1 იანვარი. ეს ვადა ამოიწურა, წუნწუხსაგროვებლების მშენებლობა კი ფაქტიურად ჩაშლილია.

შემოწმებით გამოირკვა, რომ ეს სამუშაო ბევრ კოლმეურნეობაში დაწყებულიც არ არის. ქობულეთის რაიონში უნდა აეშენებინათ 7.300 ტონის ტევადობის ნაკელსაცავები და 1.300 კუბმეტრი წუნწუხსაგროვებლები. აშენებულია 300 ტონის ტევადობის მხოლოდ ერთი ნაკელსაცავი ფიჭვნარის მარქსის სახელობის კოლმეურნეობაში. ხულოს, შუახევის და ქედის რაიონებში კი მშენებლობას აჭიანურებენ.

ამ სერიოზულ საქმეს სათანადო პასუხისმგებლობით არ მოეკიდნენ პარტიის რაიკომები და რაისაბჭოების აღმასკომები. საშენ მასალებს ახლა დაეძებენ.

დრო არ ითმენს! საჭიროა ნაკელსაცავების მშენებლობის საქმეში არსებული ნაკლოვანებანი უმოკლეს ვადაში გამოსწორდეს. ეს იქნება უხვი მოსავლის მიღების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პირობა.

რეიდის მონაწილენი:

**შ. კარსანიძე,**
აჭარის ასსრ სოფლის მეურნეობის მთავარი აგრონომი ციტრუსების დარგში;

**კ. მაჭარაძე,**
აჭარის ასსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს უფროსი აგრონომი, აჭარის ასსრ დამსახურებული აგრონომი;

**დ. პაიჭაძე,**
„კომუნისტის" საკ. კორესპონდენტი.

# მრეწველობის მართვის გარდაქმნის პირველი ნაბიჯები

### ტყიბულის რაიონის პარტიულ კონფერენციაზე

კრიტიკისა და თვითკრიტიკის ნიშნით ჩაიარა ტყიბულის რაიონულმა პარტიულმა კონფერენციამ, რომლის ყურადღების ცენტრში ძირითადად ქვანახშირის ამოღების გადიდებისა და მეშახტეთა ქალაქის მშენებლობის საკითხები იდგა. მომხსენებელმა — პარტიის რაიკომის პირველმა მდივანმა კ. ლომაძემ და კამათში სიტყვებით გამოსულმა დელეგატებმა აღნიშნეს, რომ რაიონულმა პარტიულმა ორგანიზაციამ საანგარიშო პერიოდში მნიშვნელოვანი მუშაობა გასწია პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის.

მრეწველობისა და მშენებლობის მართვის გარდაქმნამ, აღინიშნა კონფერენციაზე, დადებითი გავლენა მოახდინა საწარმოთა მუშაობაზე. ახლა უფრო ოპერატიულად წყდება ქვანახშირის წარმოების შემდგომი განვითარების საკითხები, ამაღლდა მასების შემოქმედებითი აქტივობა.

ტყიბულელ მეშახტეთა შემოქმედებითი აქტივობა განსაკუთრებული ძალით გამოვლინდა ოქტომბრის რევოლუციის მე-40 წლისთავის შესახვედრად გაჩაღებულ სოციალისტურ შეჯიბრებაში. წლიური გეგმის გადამეტებით ამოღებულია რამდენიმე ათასი ტონა ქვანახშირი.

მომხსენებელმა და დელეგატებმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეს ქვანახშირის წარმოებაში არსებულ გამოუყენებელ რეზერვებს, იმ ნაკლოვანებებს, რომლებიც ხელს უშლიან შრომის ნაყოფიერების ზრდას. ყველა შახტი, უბანი და ბრიგადა ჯერ კიდევ როდი მუშაობს გამართულად. განსაკუთრებით ჩამორჩა სამხრეთ-აღმოსავლეთის შახტი, რომელმაც შარშან ვერ შეასრულა ქვანახშირის ამოღების 11 თვის დავალება. ტყიბულის ქვანახშირის საბადოში დღემდე ვერ მიაღწიეს ქვანახშირის ამოღების რენტაბელური, მეცნიერულად გამართლებული ახალი მეთოდის — ჰიდრავლიკური ვსების მეთოდის დანერგვას. ტრესტისა და შახტების ზოგიერთი ხელმძღვანელის კონსერვატიზმის გამო 1957 წლის 11 თვეში ამ მეთოდით მოპოვებული ქვანახშირის რაოდენობა წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 91.000 ტონით შემცირდა.

კონფერენციის მონაწილეებმა განსაკუთრებით მწვავედ გააკრიტიკეს სამშენებლო ორგანიზაციების მუშაობაში არსებული ნაკლოვანებები. აღინიშნა, რომ ტყიბულშახტმშენის სამმართველო წლების მანძილზე ვერ ასრულებს ბინათმშენებლობის გეგმებს, მარტო 1957 წელს 2.500 კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი დააკლო მეშახტეებს.

გელათის შახტის პარტბიუროს მდივანმა ბ. გოგოლაშვილმა თქვა, რომ შახტში სარეკონსტრუქციო სამუშაოების დამთავრების შემდეგ ორჯერ გადიდდება ქვანახშირის ამოღება. საჭიროა აქედანვე იქნას მიღებული ზომები ამ სამუშაოთა დასაჩქარებლად, ახალი სამთო ველების მოსამზადებლად.

ლენინის სახელობის შახტის მოწინავე გამყვანმა ე. რიჟამაძემ სამართლიანად უსაყვედურა შახტის ხელმძღვანელებს ის, რომ მათი უყურადღებობის შედეგად მოუწესრიგებელია მეშახტეთა აბანოს მუშაობა. შახტის ტერიტორიაზე არსებულ მაღაზიებში ნაკლებად არის ძეხვეული, თევზისა და ხორცის კონსერვები.

კონფერენციაზე სერიოზული ყურადღება დაეთმო ქალაქის კეთილმოწყობისა და კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების საკითხებს. ლენინის სახელობის შახტის ტერიტორიაზე მცხოვრები მეშახტეები განიცდიან სასმელი წყლის ნაკლებობას, რადგან წლების განმავლობაში ჭიანურდება ახალი წყალსადენის ქსელის მშენებლობა. ნელი ტემპით მიმდინარეობს ქალაქის ცენტრალური გათბობის მეორე რიგის სამუშაოები და სამხრეთ-აღმოსავლეთის შახტის მისასვლელი გზის რემონტი.

გამოაშკარავებულ ნაკლოვანებათა გამოსწორებისათვის კონფერენციამ დასახა პრაქტიკული ღონისძიებანი.

* * *

შედგა ახლად არჩეული რაიონული კომიტეტის პლენუმი. პლენუმმა რაიკომის პირველ მდივნად აირჩია ამხ. კ. ლომაძე, მეორე მდივნად — ამხ. ჭ. კუბლაშვილი, მდივნად — ამხ. ჯ. გოცირიძე.

**ვ. ცირეკიძე,**
„კომუნისტის" საკ. კორესპონდენტი.

# ღრმავდება მეგობრობის ძვირფასი ტრადიცია

ეს მოხდა გასული წლის ზაფხულში: კრემენჩუგის ხიდური ამწეების ქარხნის კოლექტივმა მიიღო მ ტ კ ი ც ე დავალება დაუყოვნებლივ შესდგომოდა საწარმოს გადაკეთებას სოფლის მეურნეობისათვის საჭირო სხვადასხვა დანიშნულების კომბაინების გამოსაშვებად.

ამ დავალების მიღებისთანავე ქარხნის ხელმძღვანელებმა აქტივის თათბირი მოიწვიეს და განსახილველად დააყენეს საკითხი: როგორ მოვიქცეთ, რა საშუალებებით მივაღწიოთ, რომ უმოკლეს დროში შევძლოთ ქარხნის აღჭურვა ახალი დანადგარებით, სათანადო მოწყობილობით, ვის მივმართოთ დასახმარებლად...

— მივმართოთ ქართველებს, დაკვეთას პირველ რიგში შეგვისრულებენ, მხარს დაგვიჭერენ, მოგვეხმარებიან!

კრემენჩუგელ ე ბ მ ა ც თავის დროზე დიდი დახმარება გაუწიეს საქართველოს მრეწველობის მუშაკებს. ის მძლავრი ხიდური ამწეები, რომლებიც ახლა თბილისის ელექტრომავალმშენებელ ქარხანაში, ქუთაისის სამთომანქანათმშენებელ ქარხანაში, ამიერ კ ა ვ კ ასიის რკინიგზის მთელ რიგ საწარმოებში გამართულად და სრული დატვირთვით მუშაობენ, კრემენჩუგელების მიერ არის გაკეთებული.

არ შემცდარან კრემენჩუგელები. მათს წარმომადგენელს ინჟინერ ვიქტორ გრიადუშკინს, რომელიც თბილისში ჩამოვიდა და კრემენჩუგის კომბაინმშენებელი ქარხნის ახლებურად აღჭურვისათვის სასწრაფოდ შესასრულებელი დაკვეთები ჩამოიტანა, საქართველოს დედაქალაქის მანქანათმშენებელ ქარხნებში შეხვდნენ როგორც მოძმე უკრაინელი ხალხის, როგორც მეგობართა წარმომადგენელს.

თბილისის 26 კომისრის სახელობის მანქანათმშენებელ ქარხანაში, რომელიც მაშინ არ იყო გადაკეთებული სამთო სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებელ ქარხნად, მას აღუთქვეს სამსხმელო კონვეიერისა და ვარიატორების დამზადება იმ ვადაზე ადრე, ვიდრე კრემენჩუგელები მოითხოვდნენ. საკიდი კონვეიერებისა და ტექნიკური აღჭურვილობისათვის საჭირო ზოგი სხვა ხელსაწყოების მაღალხარისხოვნად დამზადებას კი სტუმარს თბილისის მექანიკურ ქარხანაში დაჰპირდნენ.

ბეჯითად, ენთუზიაზმით შეუდგნენ საქართველოს დედაქალაქის ამ ორ საწარმოში უკრაინელი ძმების — კრემენჩუგელების დაკვეთების შესრულებას. ყოველ დეტალს, ყოველ კვანძს გულდასმით აკეთებდნენ თბილისელები და, მართლაც, მოკლე დროში კრემენჩუგში გასაგზავნად უკვე მზად იყო 137 გრძივი მეტრი ლითონსამსხმელო კონვეიერი, 1.600 გრძივი მეტრი საკიდი კონვეიერი, ვარიატორები და ყოველივე ის, რის მიღებასაც თბილისიდან კრემენჩუგელები ბევრად უფრო გვიან ვარაუდობდნენ.

ამ ცოტა ხნის წინათ კრემენჩუგის კომბაინმშენებელ ქარხანაში ჩავიდა თბილისელთა წარმომადგენელი, რომელსაც დავალებული ჰქონდა გაცნობოდა თბილისში დამზადებული მოწყობილობის მუშაობას, გაეგო, მოეწონათ თუ არა კრემენჩუგელებს თბილისელთა ნახელავი, კმაყოფილნი არიან თუ არა ისინი ქართული წარმოების კონ ვ ე ი ე რ ებით, მათი ხარისხით, ტექნიკური გამართულობით.

— სასახელოდ შეუსრულებიათ ჩვენი დაკვეთები ქართველ მეგობრებს, — უთხრა თბილისიდან ჩასულ სტუმარს კრემენჩუგის კომბაინმშენებელი ქარხნის დირექტორმა დ. პალაჩევმა, — უაღრესად თანამედროვე, საუკეთესოდ გამართული მოწყობილობა მივიღეთ საქართველოდან, ისიც ჩვენ მიერ გათვალისწინებულ ვადაზე ადრე. ამან დიდად შეგვიწყო ხელი ვადამდე აგვეთვისებინა სიმინდის ასაღები კომბაინის „კუ-2-ა"-ს სერიული გამოშვება.

**ა. პეტროსიანი,**
ინჟინერი.

# ჰექტარზე 150 ცენტნერი ყურძნისათვის

— მოგილოცავთ სამამულო ომიდან მშვიდობით დაბრუნებას, გისურვებთ საკოლმეურნეო შრომაში წარმატებას, — მომესალმა კოლმეურნეობის თავმჯდომარე და მირჩია ვენახში დამეწყო მუშაობა. ეს რჩევა მივიღე. მეორე დღესვე მოსავლელად ნაკვეთი ჩამაბარეს. შრომას მოწყურებულმა ვაზების მოვლას მზრუნველობით მოვკიდე ხელი და ყურძნის უხვი მოსავალიც მივიღე. მალე მერგოლურობა დამაკისრეს.

ვენახი, რომელიც რგოლს ჰქონდა მიჩენილი, მოუვლელობით დაკნინებული იყო, მაგრამ ამას არ შევუშინდი. რგოლის წევრებთან ერთად ენერგიულმა შრომამ სასიხარულო შედეგი გამოიღო, ყურძნის მოსავლიანობა სამჯერ გავადიდეთ. შრომა დამიფასდა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით სოციალისტური შრომის გმირის წოდება მომენიჭა.

მაღალ ჯილდოს ბეჯითი შრომით ვუპასუხე. მას შემდეგ ყოველწლიურად გადაჭარბებით ვასრულებ ყურძნის მოსავლიანობის გეგმას. 1956 წელს საშუალოდ ჰექტარზე 120 ცენტნერი ყურძენი მოვიყვანე, შარშან კი 132 ცენტნერი ნაცვლად 67 ცენტნერისა. ეს მაჩვენებელი ცუდი არ არის, მაგრამ არც ზღვარია. ამაზე გაცილებით მეტის მიღება შეიძლება და კიდევაც მივიღებთ.

არ შევრცხვებით. ვენახებს ახლა უკეთესად ვამუშავებთ. შემოდგომა-ზამთრის ყველა სამუშაო აგროტექნიკის სრული დაცვით შევასრულეთ. ამ საქმეში თავი ისახელეს ივანე და ეკატერინე ბიწკინაშვილებმა და სხვებმა.

ჰექტარზე 150 ცენტნერი ყურძენი — აი ჩემი ვალდებულება წელს.

**ზაქარია გიორგაძე,**
გურჯაანის რაიონის სოფელ შაშიანის კოლმეურნეობის მევენახეობის მერგოლური, სოციალისტური შრომის გმირი.

# ფოტოაპარატით ჩვენს რესპუბლიკაში

მრავალ საინტერესო საკითხზე მუშაობს საქართველოს ზოოვეტერინარული ინსტიტუტის სასოფლო-სამეურნეო ცხოველთა კათედრა. კათედრის მეცნიერ მუშაკთა კოლექტივი დაძაბულად შრომობს ჩვენს ქვეყანაში მეცხოველეობის შემდგომი აღმავლობის აქტუალურ პრობლემებზე. ახლა აქ ერთ-ერთი ძირითადი სამუშაოა რძის სტრუქტურის დინამიკის შესწავლა მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის კვებასთან, მის ასაკსა და სხვა ფაქტორებთან დაკავშირებით. ამ თემაზე კათედრის თანამშრომლები კრწანისის მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის სანაშენო საბჭოთა მეურნეობის სპეციალისტებთან ერთად მუშაობენ.



ს უ რ ა თ ზ ე: ქვემოთ — ასისტენტი შ. ჩიგოგიძე (მარცხნიდან), საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი ს. ერქომაიშვილი და ასისტენტი, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატი გ. ჩხაიძე არკვევენ რამდენი პროცენტი ცხიმი აქვს რძეს.

* * *



მაღალი საწარმოო მაჩვენებლებით შეხვდა ახალ, 1958 წელს თბილისის კოტონის წინდების ფაბრიკის მოწინავე მქსოველი ვ. ტკაჩმედკოვა. იგი ყოველი ცვლის ნორმებს სისტემატურად 200 პროცენტით ასრულებს, მის მიერ გამოშვებული პროდუქციის 99,2 პროცენტი საუკეთესო ხარისხისაა. ს უ რ ა თ ზ ე: წრეში — წინდების მქსოველი ვ. ტკაჩ-მედკოვა მუშაობის დროს.

* * *

თბილისის № 1 გასტრონომიულ მაღაზიას ახალი წლის წინა დღეებში ბევრი დეპეშა და ფულადი გზავნილება მოუვიდა საბჭოთა კავშირის სხვადასხვა კუთხიდან. მოქალაქეები სთხოვდნენ მაღაზიას საახალწლო საჩუქრები გადაეცა მათი ნათესავებისა და მეგობრებისათვის დეპეშებში აღნიშნული მისამართების მიხედვით. ამ დღეებში დეპეშებით მრავალი დაკვეთაა მიღებული მოსკოვიდან, ლენინგრადიდან, კიევიდან, მაგადანიდან და ჩვენი ქვეყნის სხვა ქალაქიდან. ს ურ ა თ ზ ე: ზემოთ — № 1 გასტრონომიული მაღაზიის საქონელმცოდნე გოზალიშვილი (მარცხნიდან) და გამყიდველი ე. ქარსელაძე აწყობენ დეპეშებით დაკვეთილ საახალწლო საჩუქრებს.



ფოტო ვ. სტოლიაროვის, ი. დვალისა და გ. ვახტანგაძისა. (საქდესის ფოტოქრონიკა).

# გავაძლიეროთ ბრძოლა გაფლანგვა-დატაცებასთან და სპეკულაციასთან

### თბილისის კიროვის რაიონის პარტიული აქტივის კრებაზე

გაიმართა თბილისის კიროვის რაიონის პარტიული ორგანიზაციის აქტივის კრება. სოციალისტური ქონების გაფლანგვა-დატაცებასთან და სპეკულაციასთან ბრძოლის ღონისძიებათა გაძლიერების შესახებ მოხსენება გააკეთა რაიონის პროკურორმა ი. ჩადუნელმა.

მომხსენებელმა და კამათის მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ ამ უკანასკნელ ხანებში განხორციელებული ღონისძიებების მიუხედავად რაიონის პარტიულ და საბჭოთა ორგანიზაციებს, სასამართლო-პროკურატურისა და მილიციის ორგანოებს გაფლანგვა-დატაცების, სპეკულაციისა და სხვა დარღვევათა წინააღმდეგ ბრძოლაში ჯერ კიდევ სერიოზული ნაკლოვანებები აქვთ. წელს კიროვის რაიონში გაფლანგვა-დატაცების შედეგად სახელმწიფოსათვის მიყენებული ზარალი ათეულ ათასობით მანეთს შეადგენს.

საქწიგნის № 13 მაღაზიაში ბოროტმოქმედებმა დ. მამუჩეიშვილმა და ი. მესტიაშვილმა 28 ათასი მანეთი გაფლანგეს. საქტრიკოტაჟის ფაბრიკის ბრიგადირმა თ. ფარეშიშვილმა და ოსტატმა ლ. მარქარაშვილმა საწყობიდან 5.000 მანეთის საქონელი გაიტაცეს.

კიდევ უფრო ცუდი მდგომარეობაა საქართველოს სარეწაო საბჭოს სისტემაში. არტელ „ყაზბეგში" ხშირად ჰყავთ გაუფორმებელი მუშები, ხოლო არტელ „სინათლის" ცალკეულ საამქროში სამუშაოთა წარმოების არავითარი აღრიცხვა არ წარმოებს, რითაც სარგებლობენ კომბინატორები.

ფაბრიკა „კომკავშირელის" მუშამ ვ. გაზაშვილმა გააკრიტიკა მილიციისა და პროკურატურის ორგანოები იმისათვის, რომ მათ ხშირად ბოლომდე არ მიჰყავთ დამნაშავეთა და კომბინატორთა მხილების საქმე.

სახალხო მოსამართლე გ. იოსავა შეეხო მატერიალურად პასუხისმგებელ პირთა სწორად შერჩევის საკითხს. არის შემთხვევები, როცა ქურდობისათვის, სოციალისტური საკუთრების განიავებისათვის ნასამართლევი პირები პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების წაყრუების შედეგად ახერხებენ კვლავ გაძვრნენ სავაჭრო ქსელში. ორატორმა მკაცრად გააკრიტიკა საქართველოს სარეწაო საბჭოს და „თბილვაჭრობის" სარევიზიო-საკონტროლო ჯგუფების ცუდი მუშაობა.

ტყავის № 1 ქარხნის დირექტორმა გ. ხაზარაძემ ილაპარაკა იმ ღონისძიებებზე, რომლებიც ხორციელდება საწარმოში სოციალისტური საკუთრების დაცვისათვის ბრძოლის გასაძლიერებლად. სამწუხაროდ, ქარხანაში ჯერ კიდევ არის წვრილმანი ქურდობის ფაქტები.

ქალაქის მილიციის სამმართველოს მუშაკმა ხ. გიორგაძემ თქვა, რომ გაფლანგვა-დატაცების წინააღმდეგ ბრძოლაში, სოციალისტური საკუთრების დაცვის საქმეში დიდი მნიშვნელობა აქვს მასებში პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის გაძლიერებას, ლექციური პროპაგანდის დონის ამაღლებას, ახალგაზრდობაში მუშაობის უკეთ მოწყობას.

აქტივის კრების მონაწილენი ვერ დააკმაყოფილა საქართველოს სარეწაო საბჭოს და „თბილვაჭრობის" პარტბიუროების მდივნების ნ. ლალიაშვილისა და დ. შარაშენიძის გამოსვლამ. ისინი შეეცადნენ თავიანთი ორგანიზაციების მუშაობა უნაკლოდ დაეხატათ.

პარტიის თბილისის ორგანიზაციის კიროვის რაიკომის პირველმა მდივანმა ამხ. ვ. სირაძემ აქტივის კრების მონაწილეთა ყურადღება მიაპყრო იმას, რომ საჭიროა კიდევ უფრო ფართოდ გავაჩაღოთ მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა გაფლანგვა-დატაცებასთან და სპეკულაციასთან ბრძოლის გასაძლიერებლად, ულმობლად გავაძევოთ სავაჭრო და სამეურნეო ორგანიზაციებიდან კომბინატორები, ყოველი ღონისძიებით დავიცვათ და განვამტკიცოთ სოციალისტური საკუთრება.

პარტიული აქტივის კრებამ მიიღო სათანადო გადაწყვეტილება.

# თბილისის რაიონი მდინარე ყუბანის ნაპირას




## რით შევხვდით 1958 წელს



გასულ წელს რაიონის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა თავთავიანი კულტურების მოსავალი საშუალოდ ერთ ჰექტარზე მიიღეს 20,1 ცენტნერი, მათ შორის საშემოდგომო ხორბალი 19,2 ცენტნერი, მზესუმზირა მიიღეს 16 ცენტნერი ჰექტარზე. ხორცის წარმოება გასულ წელთან შედარებით გაადიდეს ერთიორად, რძის წარმოება ერთ საფურაჟე ძროხაზე — 600 და მეტი კილოგრამით. ერთ საფურაჟე ძროხაზე მიღებულ იქნა კოლმეურნეობებში 2.250 კილოგრამი და საბჭოთა მეურნეობებში 2.500 კილოგრამი რძე.

რაიონის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა 10 ივლისს — ვადაზე ადრე შეასრულეს სახელმწიფოსათვის პურის ჩაბარების გეგმა. 10 ოქტომბერს შესრულებულ იქნა სახელმწიფოსათვის მეცხოველეობის ყველა სახის პროდუქტების ჩაბარების გეგმა. 7 ნოემბრისათვის შესრულდა საშემოდგომო თესვისა და მზრალად ხვნის გეგმა.

რაიონის კოლმეურნეობებმა პლანტაჟი ჩაატარეს 500-ზე მეტ ჰექტარზე ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 320 ჰექტარისა, გააშენეს 87 ჰექტარი ბაღები და 8 ჰექტარი ვენახები, დაამზადეს ხეხილის 40 ათასზე მეტი ნერგი და ვაზის 500 ათასზე მეტი ლერწი.

უკანასკნელ 2-3 წელიწადში რაიონის მშრომელებმა ბევრი რამ გააკეთეს სტანიცებისა და ხუტორების კეთილმოწყობის მხრივაც.

რაიონის, ისევე როგორც მთელი ყუბანის, მშრომელები ბეჯითად შრომობენ იმ ამოცანის შესასრულებლად, რომ უახლოეს წლებში დავეწიოთ ამერიკის შეერთებულ შტატებს ერთ სულ მოსახლეზე მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების მხრივ.

ამ ამოცანის შესრულებისათვის ბრძოლაში რაიონის მშრომელებმა იკისრეს 1958 წელს ყოველ 100 ჰექტარზე აწარმოონ 99 ცენტნერი ხორცი, აქედან 79 ცენტნერი ღორის ხორცი, წველადობა აიყვანონ 215 ცენტნერამდე, საშუალოდ ერთ საფურაჟე ძროხაზე მიიღონ 2.800 კილოგრამი რძე.

**პავლე გრებენიკი,**
სკკპ თბილისსკაიას რაიკომის მდივანი.

## ჩვენი რაიონის წარსულიდან



თბილისსკაიას რაიონში მდინარე ყუბანის მარჯვენა ნაპირზე ახლაც დარჩენილია მამაცი მეომრების საფლავები, დასახლებათა ნაშთები, 9 ნაქალაქარი და ბევრი ყორღანი. ყოველივე ეს იმ ბრძოლის ძეგლები და კვალია, რომელიც წარმოებდა ჩაგრულებსა და მჩაგვრელებს შორის.

1778 წელს მდინარე ყუბანის მაღალ ნაპირზე აშენდა ციხე-სიმაგრე, რომელსაც თბილისის სიმაგრე უწოდეს. მოუსვენარი და შფოთიანი იყო თბილისის სიმაგრის პირველ მოსახლეთა ცხოვრება. მთებში ბევრი იყვნენ მოძალადენი, რომლებიც ყუბანის მარჯვენა ნაპირზე გადმოდიოდნენ, იტაცებდნენ ცხენებს, პირუტყვს, ტყვედ მიჰყავდათ ადამიანები.

1882 წელს მოხდა სტანიცების გენერალური გამიჯვნა. სტანიცა თბილისსკაიამ გარკვეული ნაკვეთი მიწა მიიღო. მეფის მთავრობამ კაზაკებს მიწა მისცა, მაგრამ დაავალა სამხედრო სამსახური გაეწიათ თავიანთ ხარჯზე. კაზაკს უნდა შეეძინა სამყოფო ცხენი, უნაგირი, მთელი ტანსაცმელი, აღჭურვილობა. ყველაფერი ეს სრულ საბრძოლო მზადყოფნაში უნდა ჰქონოდა 40 წლამდე. ხშირად უნდა წასულიყვნენ საბანაკო შეკრებაზე. მარტოხელა მრავალშვილიან კაზაკს უჭირდა თავისი მეურნეობის გაძღოლა. ამით სარგებლობდნენ ატამანები, ბობოლა კაზაკები, რომლებიც ხელში იგდებდნენ საუკეთესო მიწებს...

რევოლუციამ ახალი ცხოვრება დაამკვიდრა ჩვენს რაიონში. ყველაფერი — სკოლები და კულტურის სასახლე, ელექტროსადგურები და ელევატორი, საბჭოთა მეურნეობები და კოლმეურნეობები, ტრაქტორები და კომბაინები ოქტომბრის დიადი მონაპოვარია. ახლა თბილისსკაიას რაიონი ერთ-ერთი მოწინავე სასოფლო-სამეურნეო რაიონია კრასნოდარის მხარეში.

**ივანე ლაპტევი,**
პარტიის წევრი 1918 წლიდან.

თუ თვალს გადაავლებთ რუსეთის სფსრ კრასნოდარის მხარის პოლიტიკურ რუკას, მდინარე ყუბანის მარჯვენა ნაპირას შენიშნავთ საკმაოდ მოზრდილ ტერიტორიას, რომელსაც აწერია თბილისსკაიას რაიონი.

ექვსი მძლავრი კოლმეურნეობა, ორი საბჭოთა მეურნეობა, სამი მანქანა-ტრაქტორთა სადგური, ელევატორი, კარაქისა და რძის მრეწველობა, ზეთსახდელი, აგურ-კრამიტის საწარმოები, მეფრინველეობის საინკუბატორო სადგური, რამდენიმე საშუალო სკოლა, კულტურის სასახლე, კლუბები, კინოთეატრები, კულტურისა და დასვენების პარკები, კეთილმოწყობილი ქუჩები და ბაღები ამდიდრებენ და ალამაზებენ ამ რაიონს.

მალე პირველ პროდუქციას გამოუშვებს თბილისსკაიას რაიონის შაქრის უზარმაზარი ქარხანა, რომელსაც ნედლეულის უხვი ბაზა აქვს ყუბანის შავნიადაგიან დაბლობში.

ამ გვერდით გაზეთი „კომუნისტი" მოკლედ მოუთხრობს ქართველ მკითხველს მოძმე რუსეთის თბილისსკაიას რაიონის ისტორიას, უამბობს მისი ადამიანების გმირული შრომისა და ბრძოლის შესახებ.

# მ შ ო ბ ლ ი უ რ ი ს ა ხ ე ლ ი

### რას დუდუნებს მდინარე ყუბანი

თოვს... ბარდნის...

სუსხიანი სამოსი მოუხევია მდინარე ყუბანს, მთებში კლდე-ღრეებთან ჭიდილში დაღლილი ახლა მშვიდად რომ გაწოლილა ბარაქიან ველმინდვრებზე, გაწოლილა და დუდუნით მიიწევს აზოვისაკენ.

ვინ იცის, რას დუდუნებს ეს „მრავალ დროების მოწამე და უტყვი" მდინარე, ყინულის ვეება ნატეხებს ნება-ნება რომ მოაგორებს. მაგრამ მაინც თბილად, ალერსიანად ესალბუნება თბილისსკაიას რაიონის ნოყიერ მიწა-წყალს.

როცა ცა მოისარკება და მზე მთებიდან და ხეობებიდან ნისლის ქულაჯებს გაფანტავს, რა შეედრება მაშინ ყუბანის სანაპიროებს. შორს სამხრეთ-აღმოსავლეთით მოჩანს მარადყინულოვანი კავკასიონი, მისი მრისხანე კალთები, ნაპრალებიანი ხეობები, დასავლეთით თვალუწვდენი შავნიადაგიანი დაბლობია, გაზაფხულზე მწვანე ზღვად რომ ღელავს ხოლმე. ხოლო ზამთარში ზეწარივით ქათქათებს ჰორიზონტიდან ჰორიზონტამდე.

მოდუდუნებს მდინარე ყუბანი, წვენი და საზრდო დიდი ბელლისა, მისსავე სახელს რომ ატარებს, მისივე უბიდან რომ ირწყვება და ნოყიერდება. ბევრი რამ ახსოვთ მდინარე ყუბანის ტალღებს. ვინ იცის, შორეულ წარსულში რამდენ ქარავანს ჩაუვლია მის ნაპირ-ნაპირ, რამდენი შალ-აბრეშუმის ფარჩა და თვალმარგალიტი ჩაუტარებიათ კარგად შეიარაღებულ ვაჭრებს ყირიმისაკენ, ტამანისაკენ, კიევისაკენ!.. ყუბანის სანაპიროზე მშიერი მგლებივით დათარეშობდნენ ხაზარი და თათარი მეკობრეები... მათი გამოჩენა ყოველთვის სისხლის ფასად უჯდებოდათ ყუბანელებს. მდინარე ყუბანის ნაპირებთან ბევრი მამაცი მეომრის საფლავია შემონახული, უამრავი ციხე-სიმაგრე...

— ეს ჩვენი თბილისსკაიას რაიონიც,— იგონებს ყუბანელი კაზაკი, სამშობლოს წინაშე ღვაწლმოსილი, ჭაღარა ი. ლაპტევი, — ბევრი რბევა-აწიოკების მომსწრეა. აქაც უხვად დაღვრილა სლავი ახალგაზრდების უმანკო სისხლი შემოსეულ მტერთა თუ შინაურ მჩაგვრელთა წინააღმდეგ ბრძოლაში. აქედანაც უამრავი ახალგაზრდა — ქალი და ვაჟი ნახირივით გაურეკიათ ირანში, თურქეთში, ინდოეთსა და სხვა შორეულ ქვეყნებში, სამუდამოდ მოუწყვეტიათ დედა-სამშობლოს ტკბილი მკერდიდან.

აი რას დუდუნებს ყუბანი, მტკვარივით „მრავალ დროების მოწამე", მაგრამ უტყვი მდინარე.

### ციხე-სიმაგრე „თბილისი"

ეს მომხდარა 1778 წელს.

მდინარე ყუბანის ნაპირზე, ახლანდელ რკინიგზის სადგურ კავკაზსკაიადან 40 კილომეტრის დაშორებით, ამაღლებულ და ტყით გარემოსილ ადგილას, სადაც წლების მანძილზე დაბანაკებული იყო და სლავთა მშვიდობიან ცხოვრებას ფხიზლად დარაჯობდა მამაცი მეომრებისაგან შემდგარი თბილისის პოლკი, აშენდა ციხე-სიმაგრე „თბილისი".

მალე ამ ციხე-სიმაგრის ირგვლივ, ყუბანის ნოყიერ მიწაზე გაჩნდა მოსახლეობა. გაიკაფა ხშირი ტყე, გაყვანილ იქნა გზები, აშენდა სახლები, ველ-მინდვრებზე აბიბინდნენ პურის ყანები, საძოვრებზე გამოჩნდა ნახირი, გაშენდა ბაღები და ბოსტნები, ხიდმა შეაერთა უხვწყლიანი მდინარის მარჯვენა და მარცხენა მხარე.

თბილისის პოლკის ბევრი ჯარისკაცი და ოფიცერი სამუდამოდ დარჩენილა საცხოვრებლად მდინარე ყუბანის ნაპირას, დასახლებულან, ტკბილი ოჯახი შეუქმნიათ, ყუბანელ კაზაკთა ჭირი და ლხინი გაუყვიათ, შემოსეულ მტერთან თუ შინაურ მჩაგვრელებთან ბრძოლაში ბევრჯერ უსახელებიათ თავიანთი ხმალი და მკლავი.

ასეთია ამ ბუნებით მრავალფეროვანი და ადამიანების ხელით უფრო გამშვენიერებული რაიონის მოკლე ისტორია. მისი ცენტრისათვის ჯერ სტანიცა „ტიფლისსკაია", ხოლო შემდეგ სტანიცა „თბილისსკაია" დაურქმევიათ. ამჟამად სტანიცა „თბილისსკაია" კრასნოდარის მხარის თბილისსკაიას რაიონის ცენტრია.

### თბილისსკაიას რაიონი

ისევ ძველი ბოლშევიკი ი. ლაპტევი მოგვითხრობს: თბილისსკაიას რაიონის საუკეთესო მიწები თავიდანვე მემამულეებმა და ოფიცრებმა დაიტაცეს. მშრომელი ხალხი უმიწაწყლოდ დარჩა. ისინი იძულებული იყვნენ მემამულეებისაგან იჯარით აეღოთ მიწები და მონური შრომით ერჩინათ ოჯახი. ჩვენს რაიონში ახლაც შემორჩენილია ხუტორები, რომლებიც ატარებენ ძველ მფლობელთა სახელებს — ზუბოვი, ზისერმონოვსკი, პეხოვსკი და სხვ.

მახსოვს, როგორ კბილებით იცავდნენ თავიანთ მიწებს ეს მემამულეები ოქტომბრის რევოლუციის პირველ დღეებში. 1918 წელი იწყებოდა. ფრონტიდან ახლად ვიყავი დაბრუნებული. საქართველოდან (ჩვენი პოლკი უკანასკნელად ლაგოდეხში იდგა) ჩამოვედი მშობლიურ სტანიცა „თბილისსკაიაში". კაზაკების უმრავლესობა რევოლუციის მხარეზე იყო. მიტინგი გავხსენით იქ, სადაც ერთ დროს ციხე-სიმაგრე „თბილისი" იყო აღმართული. ავირჩიეთ რევოლუციური კომიტეტი.

...და, ამრიგად, ყუბანის თვალუწვდენ ველებზე ამობრწყინდა თავისუფლების დიადი მზე. თბილისსკაიას რაიონის მშრომელებმა რამდენიმე ათეულ ათასი ჰექტარი საუკეთესო სახნავ-სათესი მიწა მიიღეს. გაჩაღდა თავისუფალი შრომა... ტკბილად მიდიოდა დღეები... იზრდებოდა მიწის ბარაქა, ლამაზდებოდა სოფლები და ქალაქები, სწავლა-განათლებას ეწაფებოდნენ ყუბანელი ახალგაზრდები.







მაგრამ... ერთხელ კიდევ მოიღრუბლა კრიალა ცა. ფაშისტების სვასტიკიანმა თვითმფრინავებმა ცეცხლი გაუჩინეს შენობებს, გაანადგურეს ოქროსთავთავიანი ყანები, ხეხილის ბაღები, მდინარე ყუბანის ანკარა ტალღები კვლავ შეიღება ადამიანთა სისხლით.

ფაშისტი ურჩხულიც დავამარცხეთ. ქვეწარმავალთა მიერ მოყენებული ჭრილობები მოვიშუშეთ. და, არა მარტო მოვიშუშეთ...

აი, გაეცანით ჩვენს რაიონს...

### სამი მანქანა-ტრაქტორთა სადგური

თბილისსკაიას რაიონში ექვსი კოლმეურნეობა და ერთი მარცვლეულის საბჭოთა მეურნეობაა. მათს ძირითად მოსაქმეობას მემინდვრეობა შეადგენს — უხვად მოჰყავთ მაღალხარისხოვანი ხორბალი (საშუალოდ ჰექტარზე 20,1 ცენტნერი), შაქრის ჭარხალი, მზესუმზირა, სიმინდი, ბოსტნეული, ხილი... გარდა იმისა, რომ საბჭოთა მეურნეობას მექანიზაციის საკუთარი მძლავრი ბაზა აქვს, თბილისსკაიას რაიონის სოფლის მეურნეობას ემსახურება სამი მანქანა-ტრაქტორთა სადგური.

* * *

კოლმეურნეობა „კავკაზის" თავმჯდომარის სამუშაო კაბინეტში ვისხედით, სახელმოხვეჭილი მწველავი ანა პეტროვა თავისი მუშაობის გამოცდილებაზე მოგვითხრობდა... კარი გაიღო და შემოვიდა მორჩილი ტანის ჯმუხი კაცი, თოვლის ფანტელებით გათეთრებული ყურებიანი ქუდი მოიხადა, ხელისგულზე დაიბერტყა...

— თქვენში ალბათ თბილა, — სალამს დააყოლა კოლმეურნეობის თავმჯდომარემ, — ხელი ჩამოგვართვა, თან მოიბოდიშა: მეფრინველეობის ფერმაში ვიყავი, აქედან 60 კილომეტრზეა, ამიტომ შემაგვიანდაო, და ჩამოჯდა.

— თბილისიდან, ხომ?.. ისევ მასპინძელმა დაიწყო საუბარი, სამწუხაროდ, მხოლოდ ერთხელ ვარ ნამყოფი თბილისში, სამამულო ომის დროს, ჩვენმა ნაწილმა იქ ორი დღით შეისვენა... ფუნიკულიორი, რუსთაველის პროსპექტი... ჰო, კიდევ რა მახსოვს: ცირკი...

— უნდა ვნახოთ, ამხანაგო თავმჯდომარე, — საუბარში ჩაება მწველავი პეტროვა.

— აუცილებლად, აუცილებლად — აი, ახლა დიდი ამოცანის წინაშე დგას ჩვენი კოლმეურნეობა, არა მარტო ჩვენი კოლმეურნეობა, მთელი თბილისსკაიას რაიონი... აბა გახედეთ, — ამბობს იგი და მივყავართ კედელთან, რომელზეც ჰკიდია რაიონის გეგმა. ხორბალი, ხორბალი... ბაღს კი ცოტა ადგილი უჭირავს, შეხედეთ, რა მცირეა ვენახის ფართობი. დღემდე მხოლოდ 12 ჰექტარი გვაქვს გაშენებული. ჰო და ხალხმა, კოლმეურნეებმა მოითხოვეს, პარტიამ მხარი დაგვიჭირა, უმოკლეს დროში მარტო ჩვენს კოლმეურნეობაში 780 ჰექტარი ვენახი უნდა გაშენდეს. მაშ როგორ გგონიათ, ყოველთვის თბილისმა უნდა გვიგზავნოს ყურძენი და ღვინო?

ისევ მაგიდას შემოვუსხედით... კოლმეურნეობის თავმჯდომარე ვიაჩესლავ დოლმატოვმა კარადიდან საქაღალდე გამოიღო, გაშალა...

— ვენახი თბილისს მეორედ რომ მაჩვენებს, ეს უეჭველია, ნერგი, ნერგი... აი რა გვჭირდება ახლა. აი რაში გვჭირდება ქართველ კოლმეურნეთა დახმარება,— ღიმილით ამბობს იგი.

— და არა მარტო თქვენ, ამხანაგო თავმჯდომარე, — ეხმაურება კოლმეურნე ეკატერინე კონიუხოვა, — ჩვენი მევენახეებიც უნდა წაიყვანოთ.

— რატომ, მარტო მევენახეები? — მოკლედ უპასუხებს დოლმატოვი. — განა ჩვენს მხვნელ-მთესველებს, ტრაქტორისტებს, კომბაინერებს, მწველავებს არ მიიღებენ სტუმართმოყვარე ქართველები!.. წავალთ, ყველანი წავალთ!..

### უნდა გაიშალოს სოციალისტური შეჯიბრება

იმ პატარა საუბარში დიდი ამოცანები წამოიჭრა. არა მარტო სტანიცა თბილისსკაიას კოლმეურნეობა „კავკაზის" წევრები, არამედ კრასნოდარის მხარის თბილისსკაიას რაიონის ყველა კოლმეურნეობა, საბჭოთა მეურნეობა, მანქანა-ტრაქტორთა სადგურები, რაიონის პარტიული, საბჭოთა, კომკავშირული და სხვა ორგანიზაციები მზად არიან მჭიდრო ურთიერთობა დაამყარონ ქართველ კოლმეურნეებთან, კერძოდ, თბილისის გარეუბნის რაიონის კოლმეურნეობებთან.

— მალე ქალაქ თბილისს 1.500 წლისთავი უსრულდება, ჩვენ ყუბანელმა „თბილისელებმაც" საქმით უნდა მივიღოთ მონაწილეობა ამ დიდ ზეიმში, — ამბობს პარტიის თბილისსკაიას რაიკომის პირველი მდივანი პავლე გრებენიკი.

— თბილისიდან გვინახულეთ? ჩვენც „თბილისელები" ვართ. გადაეცით მხურვალე სალამი საქართველოს თბილისელებს, ასე ამაყად გვხვდებოდა ყველა ამ რაიონში: მუშები და კოლმეურნეები, პედაგოგი და მოსწავლე, ექიმი და ინჟინერი, პარტიული, საბჭოთა და კომკავშირული მუშაკები.

შეჯიბრება, სოციალისტური შეჯიბრება, ეს ნაცადი ფორმა შემოქმედებითი შრომისა ყუბანელ „თბილისელებს" მიაჩნიათ უპირველეს საშუალებად, როგორც ეს ამხანაგმა გრებენიკმა თქვა, „მტკვრისა და ყუბანის დასაახლოებლად".

ყუბანელმა „თბილისელებმა" თავიანთი გულისთქმა გაგვიზიარეს, სიტყვა ეძლევათ საქართველოს სსრ გარეუბნის რაიონის მშრომელებს.

**გ. თათარიშვილი.**
თბილისსკაიას რაიონი, კრასნოდარის მხარე.

* * *

სურათებზე: (ზემოდან) მდინარე ყუბანზე, კოლმეურნის კარმიდამო, ელევატორთან.

## ლაპარაკობენ მოწინავე ადამიანები

### შევეჯიბროთ ერთმანეთს, საერთო კუთვნილებად ვაქციოთ თვითეული ჩვენგანის გამოცდილება



ჩვენს კოლმეურნეობაში გასულ წელს მეტად სასარგებლო ღონისძიება განხორციელდა. გაერთიანდნენ სატრაქტორო და მემინდვრეობის ბრიგადები. ამან დიდად გაზარდა მოსავლიანობა, კოლმეურნეთა შრომის ნაყოფიერება. მოვიპოვეთ უფლება ვყოფილიყავით სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მონაწილე.

ამჟამად ჩვენი ბრიგადის, ისევე, როგორც მთელი ჩვენი რაიონის წინაშე დგას სერიოზული ამოცანა — გავაშენოთ ვენახი, გავაფართოოთ ხეხილის ბაღები. კოლმეურნეები ამ ახალ ღონისძიებას დიდი ინტერესით გამოეხმაურნენ. შემოდგომითვე დავიწყეთ სანერგე ფართობის დამუშავება, კრასნოდარის მხარის ზღვისპირეთის კოლმეურნეობებიდან მოვიწვიეთ სპეციალისტები, რომლებმაც პრაქტიკული დახმარება გაგვიწიეს.

ბევრი რამ გვსმენია ქართველ მევენახეთა და მებაღეთა წარმატებებზე, მათი მუშაობის გამოცდილებაზე. ჩემი სურვილია ეს გამოცდილება ფართოდ დაინერგოს ჩვენს კოლმეურნეობაშიც.

კრასნოდარელ „თბილისელებსაც" ბევრი რამ გვაქვს საინტერესო და სასარგებლო მემინდვრეობის, მესაქონლეობისა თუ მეფრინველეობის დარგში, და ურიგო არ იქნება, თუ ქართველი მეგობრები გაეცნობიან ამას.

შევეჯიბროთ ერთმანეთს, საერთო კუთვნილებად ვაქციოთ თვითეული ჩვენგანის მუშაობის გამოცდილება.

**ალექსი სოლდატოვი,**
კრასნოდარის მხარის თბილისსკაიას რაიონის შევჩენკოს სახელობის კოლმეურნეობის სატრაქტორო და მემინდვრეობის ბრიგადის ხელმძღვანელი.

## 3.000 ლიტრი რძე თვითეულ ძროხაზე



ჩვენს ფერმაში ყოველწლიურად მატულობს ძროხების წველადობა. ორიოდე წლის წინათ ვოცნებობდით თვითეულ ძროხაზე ორიათასი ლიტრი რძის მიღებას. 1956 წელს 12 მწველავიდან ხუთმა გადავაჭარბეთ ამ ციფრს. ეს დიდი მიღწევა იყო. მაგრამ ამან როდი დაგვაკმაყოფილა. შარშან ზაფხულში ბევრმა ჩვენგანმა ვალდებულება იკისრა თვითეულ ძროხაზე მიეღო 2.300 ლიტრი რძე. მე პირადად ვალდებულება ავიღე მომეწველა საშუალოდ 2.500 ლიტრი რძე.

გასულ წელს ჩვენმა პარტიამ სოფლის მეურნეობის მუშაკთა წინაშე დააყენა ამოცანა — უმოკლეს ვადაში დავეწიოთ ამერიკის შეერთებულ შტატებს ერთ სულ მოსახლეზე ხორცის, რძის, კარაქის და სხვა პროდუქტების წარმოების დარგში. პარტიის მოწოდებამ დიდი შრომითი აღმავლობა გამოიწვია. მწყემსებმა გააუმჯობესეს პირუტყვის მოვლა.

შედეგიც კარგი მივიღეთ. ფერმამ ვადამდე შეასრულა ნაკისრი ვალდებულება. მწველავებმა ა. კონიუხოვამ, ტ. კუჩეროვამ, ტ. ბოჩაროვამ შარშან ოქტომბრის დღესასწაულისათვის თვითეულ ძროხაზე მიიღეს 2.600 ლიტრი რძე. მე კი 3.000 ლიტრს გადავაჭარბე.

ამ წარმატებას მივაღწიე მოწინავე მწველავთა გამოცდილების გულდასმით გაცნობის შედეგად. მქონდა ბედნიერება ვყოფილიყავ კრასნოდარის მხარისა და სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენების მონაწილე. იქ ვნახე ბევრი ჯიშიანი ძროხა, რომლებიც წელიწადში 7-დან 15 ათასამდე კილოგრამ რძეს იწველიან.

მე არ ვყოფილვარ საქართველოში, მხოლოდ მოსკოვში — სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე ვნახე საქართველოს პავილიონი. ჩემზე დიდი შთაბეჭდილება დატოვა ქართულმა ხილმა, ყურძენმა, ციტრუსებმა.

ჩვენი კოლმეურნეობა ახლა განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს მებაღეობას და მევენახეობას. წელს მრავალ ათეულ ჰექტარზე უნდა გავაშენოთ ვაშლი, ქლიავი, და, რაც მთავარია, ვენახი.

მალე ყუბანელ „თბილისელებსაც" საკუთარი ღვინო გვექნება.

**ეკატერინე კონიუხოვა,**
მწველავი.

## სალამი თბილისელ პიონერებს



ჩვენი სკოლა მდინარე ყუბანის ნაპირას არის გაშენებული, სწორედ იქ, სადაც ერთ დროს ციხე-სიმაგრე „თბილისი" ყოფილა აღმართული.

პირველი კლასიდან ხუთოსანი ვარ. განსაკუთრებით მიტაცებს მშობლიური ენა.

მასწავლებელი ხშირად გვესაუბრება საქართველოზე, თბილისზე... პიონერები დიდი ინტერესით ვუსმენთ მას. ეს იმიტომ, რომ ჩვენს სტანიცასაც თბილისსკაია ჰქვია.

ჩვენი სკოლის მოსწავლეები მოხარული ვიქნებით, თუ მჭიდრო კავშირს გავაბამთ საქართველოს დედაქალაქ თბილისის პიონერებთან, გვექნება მიწერ-მოწერა, ერთმანეთს გავუზიარებთ ფიქრებსა და ოცნებებს.

**ოლია ვანკოვა,**
სტანიცა თბილისსკაიას საშუალო სკოლის მოსწავლე.



სურათზე: თბილისსკაიას რაიონის მუდმივი სასოფლო-სამეურნეო გამოფენის ხედი.

ფოტო გ. გოგოხიასი.

# ბირმის კავშირის ათი წელი

დღეს ბირმის კავშირის ხალხები აღნიშნავენ თავიანთ ეროვნულ დღესასწაულს. ათი წლის წინათ, 1948 წლის 4 იანვარს, ბირმის დამფუძნებელმა კრებამ, გამოხატა რა ბირმის ხალხების ნება, დამოუკიდებელ ფედერაციულ რესპუბლიკად გამოაცხადა ბირმის კავშირი. ბირმის ხალხები, რომლებმაც საკუთარ თავზე განიცადეს ინგლისის კოლონიური რეჟიმის, იაპონური ოკუპაციისა და დამანგრეველი ომის სიმძიმე, დაადგნენ დამოუკიდებელი ეროვნული განვითარების გზას.

ინგლისელ კოლონიზატორთა ხანგრძლივი ბატონობის შედეგად, რომლებმაც ბირმა ინგლისის მეტროპოლიის აგრარულ-სანედლეულო დანამატად გადააქციეს, აგრეთვე იაპონური ოკუპაციით მიყენებული დიდი ზარალის გამო ბირმა დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ უაღრესად მძიმე ეკონომიურ მდგომარეობაში აღმოჩნდა.

ბირმის ისტორიაში პირველმა ეროვნულმა მთავრობამ აიღო ეკონომიკის ყოველმხრივი განვითარების, ბირმის კერძო და, განსაკუთრებით, სახელმწიფო კაპიტალის პოზიციების გაფართოების, პროგრესული აგრარული კანონმდებლობის გატარებისა და სოციალურ დარგში მთელ რიგ ღონისძიებათა განხორციელების კურსი. უცხოელთა საკუთრების ნაციონალიზაციის შედეგად ბირმის მთავრობის ხელში გადავიდა ნაოსნობა, რკინიგზა, საჰაერო ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა, ტყეები, თითქმის ყველა ელექტროსადგური და მთელი რიგი სხვა საწარმოები.

ბირმის კაპიტალის მოქმედების სფეროს გაფართოებისა და უცხოეთის კაპიტალის პოზიციების შევიწროებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ინგლის-ბირმის შერეული კომპანიების შექმნას მანამდე არსებულ ინგლისურ საწარმოთა ბაზაზე. ამრიგად, კოლონიური დროებისაგან განსხვავებით, როცა ბირმის მინერალური რესურსების დამუშავება ინგლისის მონოპოლიების განუყოფელ კონტროლს ექვემდებარებოდა, ახლა სხვადასხვა ლითონის მადნებისა და ნავთობის ამოღებას, აგრეთვე ნავთობის გადამუშავებას ახორციელებენ უმთავრესად ინგლის-ბირმის შერეული კომპანიები, რაც გარდუვალად იწვევს ინგლისის კაპიტალის გავლენის შეზღუდვას.

დადებითია აგრეთვე ის, რომ ბირმის მთავრობა უცხოეთის კაპიტალის მიმართ ახორციელებს შეზღუდვის პოლიტიკას. ბირმა მხარს უჭერს საქმიან თანამშრომლობას დასავლეთის ქვეყნებთან, მაგრამ მოითხოვს, რომ ეს თანამშრომლობა ვითარდებოდეს თანასწორუფლებიანობისა და ურთიერთ სარგებლობის საფუძველზე.

ბირმაში მწყობრში ჩადგა მთელი რიგი სამრეწველო ობიექტები, რომლებიც სახელმწიფო სახსრებით აშენდა: ბირმის მეტალურგიის პირმშო — ფოლადსაგლინავი ქარხანა, ქვანახშირის შახტები კალევაში, ბამბის ნართის ფაბრიკა, ხელოვნური აბრეშუმის ფაბრიკა, ორი შაქრის ქარხანა, საშენ მასალათა ქარხანა, ჩაის ფაბრიკა და სხვ. თუ რა დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ბირმის მთავრობა სახელმწიფო სექტორის შექმნას, ეს ჩანს იქიდან, რომ, მაგალითად, 1954-56 წლებში მის წილად მოდიოდა მთელი სახელმწიფო ხარჯების დაახლოებით სამი მეოთხედი. ბირმაში სახელმწიფო-კაპიტალისტური სექტორის შექმნა და გაფართოება პროგრესული მოვლენაა, რადგან თანამედროვე პირობებში ეს კოლონიალიზმის შედეგების ლიკვიდაციის, უცხოეთის კაპიტალის გავლენის შეზღუდვის, ბირმის ეკონომიური დამოუკიდებლობის საფუძვლის — ეროვნული მრეწველობის შექმნისა და განმტკიცების ერთ-ერთი ეფექტიანი საშუალება.

მწვავე პრობლემების გადაჭრას სოფლის მეურნეობაში, რომელსაც ძირს უთხრის მემამულური მიწათმფლობელობა და ვაჭრულ-მევახშური კაბალა, გარკვეულად უნდა დაეხმაროს პროგრესული აგრარული კანონმდებლობა, რომელშიც შედის კანონი მსხვილ მემამულეთა მიწის ნაციონალიზაციის შესახებ იმ პირობით, რომ იგი გამოსყიდულ იქნება და გლეხებს შორის განაწილდება, აგრეთვე კანონები მოიჯარადრეთა მდგომარეობის შემსუბუქების, მემამულეთა და მევახშეთა ხელში გლეხთა მიწების გადასვლის აკრძალვის, გლეხთა დავალიანების შემცირების შესახებ და სხვ. 19,9 მილიონი აკრი დამუშავებული მიწიდან ნაციონალიზაცია ვრცელდება 6,2 მილიონ აკრზე. გათვალისწინებულია ამ მიწის ფართობის ნაციონალიზაცია დამთავრდეს 1960 წლისათვის. მაგრამ ამჟამად შესრულებულია დასახული გეგმის მხოლოდ 20 პროცენტი.

მიუხედავად სერიოზული სიძნელეებისა, რომლებიც გამოწვეულია ბირმის დაძაბული ფინანსური მდგომარეობით, საჭირო სავალუტო მარაგის უქონლობით და კვალიფიციური კადრების ნაკლებობით, ბირმის რესპუბლიკამ პირველი წარმატებები მოიპოვა ეკონომიკის აღმავლობის დარგში. მრეწველობის საერთო პროდუქციამ მიაღწია ომამდელი დონის 95 პროცენტს, სოფლის მეურნეობის, თევზჭერისა და სატყეო მეურნეობის პროდუქციამ — 90 პროცენტს. ბრინჯის ექსპორტმა 1956-57 წელს მიაღწია 2 მილიონ ტონას — სარეკორდო ციფრს ომის შემდგომ წლებში; 30 პროცენტით გაიზარ-



და სხვადასხვა მერქნის გაზიდვა. უკანასკნელ წლებში ნავთობის ამოღება ერთიორად გადიდდა.

ბირმაში მიღებულია და თანდათან ხორციელდება შრომის პროგრესული კანონმდებლობა, რომელიც ითვალისწინებს 8 საათის სამუშაო დღეს. იზრდება საავადმყოფოებისა და სამკურნალო დაწესებულებების რიცხვი, მაღლდება წერა-კითხვის მცოდნეობის და კულტურის დონე.

ხელმძღვანელობს რა ქვეყნის ეროვნული ინტერესებით, ბირმის მთავრობამ თავისი მოღვაწეობის დასაწყისშივე აიღო მშვიდობისმოყვარული საგარეო პოლიტიკის განხორციელების მტკიცე კურსი. ბირმის მთავრობამ თავის პოლიტიკას საფუძვლად დაუდო მშვიდობიანი თანაარსებობის ცნობილი ხუთი პრინციპი.

მიაჩნია რა აგრესიული სამხედრო დაჯგუფებანი საერთაშორისო დაძაბულობის ერთ-ერთ მიზეზად, ბირმის მთავრობამ უარი თქვა მონაწილეობა მიეღო სეატოში. მან დაგმო ინგლის-საფრანგეთ-ისრაელის ერთობლივი აგრესია ეგვიპტის წინააღმდეგ.

ამჟამად ბირმის მთავრობა გადაჭრით გმობს „დალეს-ეიზენჰაუერის დოქტრინას", რომელიც ახლო და შუა აღმოსავლეთის ქვეყნების საშინაო საქმეებში ამერიკის შეერთებული შტატების პირდაპირი შეიარაღებული ჩარევის შირმა გახდა. ბირმის საზოგადოებრიობა მხარს უჭერს საბჭოთა წინადადებებს განიარაღებისა და ატომური და წყალბადის იარაღის აკრძალვის საკითხებზე.

ბირმა აქტიურად მონაწილეობს ყველა წამოწყებაში, რომლის მიზანია აზიასა და მთელ მსოფლიოში მშვიდობის განმტკიცება. ცნობილია, რომ ბირმა იყო აზიისა და აფრიკის ქვეყნების ბანდუნგის კონფერენციის ერთ-ერთი ინიციატორი, აქტიურად მონაწილეობდა აზიისა და აფრიკის ქვეყნების სოლიდარობის კაიროს ამასწინანდელ კონფერენციაში.

ბირმამ საქმიანი ურთიერთობა დაამყარა ყველა სოციალისტურ ქვეყანასთან.

წლითიწლობით მტკიცდება საბჭოთა კავშირ-ბირმის მეგობრობა. ბირმის პრემიერ-მინისტრის უ ნუს სახელმწიფო ვიზიტმა საბჭოთა კავშირში და ამხანაგების ბულგანინისა და ხრუშჩოვის სახელმწიფო ვიზიტმა ბირმაში დაადასტურა საბჭოთა ხალხისა და ბირმელი ხალხის ურღვევი მისწრაფება მშვიდობისა და თანამშრომლობისადმი. ამ ბოლო დროს საბჭოთა კავშირისა და ბირმის ხალხების მეგობრობა და საქმიანი ურთიერთობა სულ უფრო ვითარდება, რასაც მოწმობს საბჭოთა კავშირ-ბირმის ეკონომიურ შეთანხმებათა, მათ შორის სსრ კავშირის ძალებითა და სახსრებით ბირმის ხალხისადმი საჩუქრის სახით ტექნოლოგიური ინსტიტუტისა და ჰოსპიტლის მშენებლობის შესახებ შეთანხმების დადება, კულტურული დელეგაციების გაცვლა, ტექნიკური თანამშრომლობა, ამხ. ა. ი. მიქოიანის ვიზიტი ბირმაში, ბირმის პრემიერ-მინისტრის მოადგილის უ ჯო ნეინის ჩამოსვლა სსრ კავშირში, ბირმის საპარლამენტო დელეგაციის მოგზაურობა ჩვენს ქვეყანაში და სხვ.

საბჭოთა ადამიანები კმაყოფილებით აღნიშნავენ ბირმელი ხალხის პირველ მიღწევებს თავიანთი ქვეყნის ეკონომიკის აღდგენისა და განვითარებისათვის ბრძოლაში და უსურვებენ მას შემდგომ წარმატებებს ამ გზაზე, აგრეთვე საყოველთაო მშვიდობისა და ხალხთა უშიშროებისათვის ბრძოლაში.

**ა. კაუფმანი.**

• • •

სურათზე: ბირმა. რანგუნი. ფოტო ს. პრავდინისა. (საქდესის ფოტოქრონიკა).

# ინდოელი სპეციალისტი საქართველოში

რამდენიმე დღეს საქართველოში სტუმრად იყო ინდოეთის რესპუბლიკის ფოლადის, წიაღისეულისა და სათბობის სამინისტროს მდივანი ბ-ნი ს. ბუტალინგამი, რომელიც საბჭოთა კავშირში ეცნობა მეტალურგიული საწარმოების მუშაობას.

ბ-ნმა ს. ბუტალინგამმა დიდი ინტერესი გამოიჩინა სტალინის სახელობის ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის მუშაობისადმი.

ბ-ნმა ს. ბუტალინგამმა ქართველ მეტალურგებს უამბო დიდი ინდოელი ხალხის ღონისძიებებზე თავისი ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში, ინდოელი და საბჭოთა ხალხების სულ უფრო მზარდ მეგობრობასა და თანამშრომლობაზე.

— ინდოელი ხალხი, — თქვა ბ-ნმა ბუტალინგამმა, — უდიდესი ყურადღებით ადევნებს თვალყურს ბჰილაის მეტალურგიული გიგანტის მშენებლობას, რომელიც სსრ კავშირის დახმარებით წარმოებს.

ბ-ნმა ს. ბუტალინგამმა ქებით მოიხსენია ქართველი მეტალურგები, რომლებიც ბჰილაიში მუშაობენ. მე ვიცნობ, — თქვა მან, — რუსთაველ სპეციალისტებს ლობოცკის, ვუმბერიძეს, ტიმოფეევს, იაგოვდიკს, ჰიქაბერიძეს. ყველა ისინი მშვენივრად მუშაობენ და მიძღნილდება მოვახდინო არჩევანი, ვინ მუშაობს ყველაზე უკეთ.

საქართველოში ყოფნისას ინდოელმა სპეციალისტმა ცოცხალი ინტერესი გამოიჩინა რესპუბლიკის მშრომელთა სამეურნეო და კულტურული ცხოვრებისადმი. მან დაათვალიერა ქალაქ რუსთავის ახალმშენებლობანი, მეტალურგთა კულტურის სასახლე, სტუმრად იყო წარჩინებულ მეფოლადესთან, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატ ი. მეტრეველთან.

ბ-ნი ს. ბუტალინგამი იყო აგრეთვე თბილისში, ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრში ნახა ახალი ქართული ბალეტი „ოტელო". შემდეგ გაემგზავრა გორს, სადაც ინახულა ი. ბ. სტალინის სახლ-მუზეუმი.

გუშინ ბ-ნი ს. ბუტალინგამი და მისი თანმხლები პირები სტალინის გაემგზავრნენ. ისინი გაეცნენ საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს მეტალურგიული მრეწველობის სამმართველოსა და სტალინის სახელობის ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის მუშაკებს.

გამგზავრების წინ ბ-ნმა ს. ბუტალინგამმა საქდესის კორესპონდენტს განუცხადა:

— საბჭოთა კავშირში ჩემი მოგზაურობის მიზანია ფართოდ გავეცნო ფოლადის წარმოებას თქვენი ქვეყნის ძირითად მეტალურგიულ ცენტრებში. მათ შორის განსაკუთრებით დიდი ინტერესი გამოიწვია ქართულმა ქალაქმა რუსთავმა. ეს იმით აიხსნება, რომ იგი მდებარეობს ისეთ კლიმატურ ზონაში, რომელიც ყველაზე ახლოს უდგება იმ კლიმატურ პირობებს, რომლებშიც ხორციელდება ბჰილაის ქარხნის მშენებლობა. რუსთავის ქარხანა არის დიდი მეტალურგიული საწარმო, რომელიც აღჭურვილია პირველხარისხოვანი ტექნიკით, გულწრფელად ვარ გაოცებული რუსთავის საქმის ორგანიზებულობით და ვაქებით, ქართველი მეტალურგების მუშაობის ეფექტიანობით.

ჩემი აღტაცება, — თქვა დასასრულ ბ-ნმა ს. ბუტალინგამმა, — გამოიწვიეს თქვენი ხალხის უდიდესმა მიღწევებმა თქვენი ქვეყნის ეკონომიკისა და კულტურის ყველა დარგის განვითარებაში, საბჭოთა ადამიანების მისწრაფებამ მსოფლიოს ყველა ხალხთან მშვიდობისა და მეგობრობისადმი, მათმა მხურვალე სურვილმა ძმური დახმარება გაუწიონ ინდოელ ხალხს ახალი, აყვავებული სახელმწიფოს მშენებლობაში. (საქდესი).

# დავით ანდღულაძის იუბილე

სამშაბათს, 7 იანვარს, ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრში გაიმართება გამოჩენილი ქართველი მომღერლის სსრ კავშირის სახალხო არტისტის, სტალინური პრემიის ლაურეატის დავით ანდღულაძის საიუბილეო საღამო, მიძღვნილი მისი დაბადების 60 და სასცენო-პედაგოგიური მოღვაწეობის 35 წლისთავისადმი.

თავისი სასცენო მოღვაწეობა დავით ანდღულაძემ მოსკოვის კ. სტანისლავსკის სახელობის თეატრის სცენაზე დაიწყო. შემდეგ ნიჭიერი ახალგაზრდა მომღერალი მოიწვიეს თბილისის ოპერის თეატრში.

1931 წელს შედგა დ. ანდღულაძის დებიუტი სსრ კავშირის დიდ თეატრში, სადაც იგი მიღებულ იქნა დრამატული ტენორის ამპლუაზე. რამდენიმე წლის მანძილზე მომღერალი დიდი წარმატებით გამოდიოდა დიდი თეატრის სცენაზე.

ქართული მუსიკალური საზოგადოებრიობის მოთხოვნით ოპერის თეატრის დირექციამ კვლავ მოიწვია დ. ანდღულაძე თბილისში, სადაც მან იმუშავა 1958 წლამდე.

შემდეგ მსახიობი ეწევა პედაგოგიურ მოღვაწეობას.

დ. ანდღულაძის იუბილეს ჩასატარებლად შექმნილია საიუბილეო კომისია, რომელშიც შედიან დ. ჩხიკვიშვილი (თავმჯდომარე), შ. დადიანი, დ. მჭედლიძე (თავმჯდომარის მოადგილე), ნ. მუსხელიშვილი, ვ. კუპრაძე, გ. ახვლედიანი, ი. აბაშიძე, ი. გრიშაშვილი, ა. ბალანჩივაძე, უ. ჯაფარიძე, ვ. ანჯაფარიძე, ა. ხორავა, პ. ამირანაშვილი, ვ. ჭაბუკიანი, შ. მშველიძე, ო. დიმიტრიადი, ვ. ტაბლიაშვილი, ო. ეგაძე და ი. გვინჩიძე.



# ბავშვების საყვარელი დღესასწაული

პატარებმა სწრაფად აირბინეს საზეიმოდ მორთული რკინიგზელთა სახლის კიბე და თანატოლებში გაერივნენ. მოისმის მუსიკის ხმა. ყველას თვალები დიდი დარბაზისაკენ აქვთ მაპყრობილი. უცებ გაიღო კარი, გამოჩნდა ზღაპრულად მორთული ოთახი. ყველგან დგას აციმციმებული პატარ-პატარა ნაძვისხე, კედლებზე უამრავი ნახატებია, ერთი კუთხის თავზე ბალისტიკური რაკეტის დიდი მაკეტია, მის მოპირდაპირე მხარეს კი მოღიმარი მთვარის გამოსახულება. რამდენი რამ არის საინტერესო დარბაზში. ბავშვები გაფაციცებით ათვალიერებენ ყველაფერს, მაგრამ ყველაზე ლამაზი მაინც კოხტად მორთული ნაძვისხეა, რამდენნაირი სათამაშო, ფერად-ფერადი ბურთი აუსხამს მას.

სხვადასხვა ეროვნებას ხალხთა ტანსაცმლით გამოწყობილი გოგონები და ბიჭები ხელიხელჩაკიდებული უვლიან გარს ნაძვისხეს, ცეკვავენ, მღერიან.

ბავშვებს ართობენ მათთვის კარგად ცნობილი „ნაცარქექია", „სანჩო-პანსა", „დონ-კიხოტი". აი შორიდან მოისმის გუდასტვირის ხმა. დარბაზში შემოდის თეთრ ჩოხა-ახალუხიანი მეკვლე პაპა.

— მოგილოცავთ ახალ, 1958 წელს, პატარებო, — მიმართავს ის სიმღერით ბავშვებს. — გისურვებთ კარგად დასვენებას არდადეგების დღეებში, შემდეგ კი წარმატებას სწავლაში.

— კი მაგრამ თოვლის პაპა სადღაა? — მოუთმენლად კითხულობენ პატარები.

აგერ ისიც, გრძელწვერა და წითელცხვირა თოვლის პაპა, ბავშვების საყვარელი მეგობარი. მას თან მოჰყვებიან დათვი, წითელქუდა, ჩექმებიანი კატა, ყელმოღერებული გედები. პატარები მხიარული ყიჟინით ხვდებიან მათთვის ნაცნობ ცხოველებად შემოსილ მსახიობებს, მათთან ერთად ცეკვავენ და მღერიან.

დიდხანს გაისმოდა ბედნიერი ბავშვების ჟრიამული დიდ დარბაზში. შემდეგ კი თოვლის პაპამ მათ საჩუქრები დაურიგა.

**ლ. ტატიშვილი.**

• • •

სურათზე: საახალწლო ნაძვისხესთან.

## ქრონიკა

საბჭოთა კავშირის მარშალი კ. კ. როკოსოვსკი განთავისუფლებულია ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ჯარების სარდლის თანამდებობიდან და ბრუნდება მოსკოვში სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრის მოადგილის თანამდებობაზე სამუშაოდ.

სასამართლოს დარბაზიდან

# მკვლელი დახვრეტილია

ქ. ქუთაისში გასული წლის 3 მარტს ავტობუსში ჩაჯდომის დროს მოქალაქე ერმილე ბახტაძეს ჯიბე გაუჭრეს და 200 მანეთი ამოაცალეს.

დაზარალებული მალე მიხვდა, რაც დაემართა, და გაქცეულ საეჭვო პიროვნებას დაედევნა. ქურდი შეიპყრეს, მაგრამ საკუთარი „ტყავიდან იგი მოხერხებულად გაუსხლტათ: ჯუბა, რომელიც ტანზე ეცვა, ხელში შეატოვა ბახტაძეს. გულის ჯიბეში ნაპოვნი საბუთებით გამოირკვა, რომ ბოროტმოქმედი თერჯოლის რაიონის სოფელ ახალი თერჯოლის მცხოვრები ჯუმბერ იოსების-ძე ცხადაძე ყოფილა, რომელიც თავის დროზე ქუთაისის ავტოტექნიკუმიდან გაერიცხათ გაკვეთილებზე დაუსწრებლობისა და სწავლაში ჩამორჩენილობის გამო.

ქურდს მილიცია დიდხანს დაეძებდა ამაოდ. მხოლოდ 17 მაისს ქუთაისის კინოთეატრ „გამარჯვების" შესასვლელთან გალეშილი ცხადაძე მოქალაქე ვახტანგ ფესტვენიძეს აუხირდა და სრულიად უმიზეზოდ ხუთი ჭრილობა მიაყენა დანით, რის გამო ფესტვენიძე იქვე გარდაიცვალა.

მკვლელმა მიმალვა სცადა და მილიციის თანამშრომლებს წინააღმდეგობაც გაუწია, მაგრამ ალარაფერი არ გაუვიდა.

ამას წინათ ქალაქ ქუთაისში საჯარო სხდომაზე მკვლელის საქმე განიხილა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ შ. მახარაძის თავმჯდომარეობით და მკვლელს მიუსაჯა სასჯელის უმაღლესი ზომა — დახვრეტა.

განაჩენი აღსრულდა.

**ს. დირბელი.**

**თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომი საქართველოს არქიტექტორთა კავშირთან ერთად აწყობს საბურთალოს და 26 კომისრის ახალი საცხოვრებელი რაიონის დაგეგმარების პროექტის საჯარო განხილვას.**

**პროექტების გამოფენა გაიხსნება 4 იანვარს 4 საათზე თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის წითელ დარბაზში. საჯარო განხილვა შედგება იმავე დარბაზში 6 იანვარს საღამოს 8 საათზე. დასწრება თავისუფალია.**

რედაქტორი პ. რატიანი.

# აზიისა და აფრიკის ქვეყნების სოლიდარობის კონფერენციის დეკლარაცია

კაირო, 1 იანვარი. (საქდესი). აზიისა და აფრიკის ქვეყნების სოლიდარობის კონფერენციის საბოლოო სხდომაზე ერთსულოვნად მიღებულ იქნა შემდეგი დეკლარაცია:

ჩვენ, აზიისა და აფრიკის ხალხებმა, რომლებიც 1957 წლის 26 დეკემბრიდან 1958 წლის 1 იანვრამდე შევიკრიბეთ კაიროში იმ საერთაშორისო პრობლემების განსახილველად, რომლებიც განსაკუთრებით ეხებიან აფრიკისა და აზიის ხალხებს, ანალიზი გავუკეთეთ ჩვენი ხალხების წინაშე დასახულ პოლიტიკურ, ეკონომიურ, სოციალურ და კულტურულ პრობლემებს.

ჩვენ ვხელმძღვანელობდით ერთი გრძნობით — ჩვენი ხალხების თანამშრომლობისა და ერთობის და მსოფლიოს ყველა ხალხთან მტკიცე მეგობრობის გრძნობით.

თანხმობის სულისკვეთებით ამ პრობლემების შვიდი დღის განხილვის შემდეგ ჩვენი კონფერენცია მივიდა ერთსულოვან თანხმობამდე იმ წინადადებათა შესახებ, რომლებიც შეეხებიან სხვადასხვა პრობლემის გადაჭრას. ეს იმას ამტკიცებს, რომ აზიისა და აფრიკის ხალხებმა მშვიდობის შენარჩუნების ამოცანის შესრულების საქმეში მიაღწიეს უფრო მეტ ერთობას და მიიღეს მოქმედების საერთო პროგრამა. კონფერენცია ერთსულოვნად დაეთანხმა შეიქმნას მუდმივი ორგანიზაცია კაიროში კონფერენციის რეზოლუციების შესრულებისათვის ხელშეწყობის მიზნით.

ჩვენ ვაცხადებთ, რომ პრინციპები, რომლებიც მიღებულია ბანდუნგის კონფერენციაზე 1955 წლის აპრილში, კვლავ უნდა იყოს საერთაშორისო ურთიერთობის საფუძველი. ჩვენ კვლავ განვაცხადეთ, რომ სავსებით ვუჭერთ მხარს შემდეგ 10 პრინციპს, რომლებსაც ჩვენი ხალხები მხარს უჭერდნენ უკანასკნელი წლების განმავლობაში:

1. ადამიანის ძირითად უფლებათა, აგრეთვე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების პრინციპებისა და მიზნების პატივისცემა.

2. ყველა ხალხის სუვერენიტეტისა და მათი ტერიტორიის მთლიანობის პატივისცემა.

3. ყველა რასისა და ყველა ერის, დიდი და პატარა ერების, თანასწორობის აღიარება.

4. თავის შეკავება ყოველგვარი ჩარევისაგან ჩვენი ქვეყნების საქმეებში.

5. ყოველი ქვეყნის ინდივიდუალური თუ კოლექტიური თავდაცვის უფლების პატივისცემა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების შესაბამისად.

6. ა) თავის შეკავება რომელიმე დიდი სახელმწიფოს მიერ კერძო ინტერესებისათვის კოლექტიური თავდაცვის ორგანიზაციების გამოყენებისაგან.

ბ) თავის შეკავება რომელიმე ქვეყნის მხრივ სხვა ქვეყნებზე ზეგავლენის მოხდენისაგან.

7. თავის შეკავება აგრესიული მოქმედებისა და მუქარისაგან და ძალის გამოყენებისაგან რომელიმე ქვეყნის რეგიონალური უშიშროების თუ პოლიტიკური დამოუკიდებლობის წინააღმდეგ.

8. ყველა საერთაშორისო დავის მოწესრიგება მშვიდობიანი საშუალებით, ისეთებით, როგორიც არის მოლაპარაკება, მორიგება, არბიტრაჟი, სასამართლო ღონისძიებანი ან რაიმე სხვა მშვიდობიანი საშუალება დაინტერესებული მხარეების არჩევით, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების შესაბამისად.

9. ხელშეწყობა ჩვენი საერთო ინტერესებისა და ურთიერთთანამშრომლობისათვის.

10. სამართლიანობისა და საერთაშორისო ვალდებულებათა პატივისცემა.

სავსებით დარწმუნებული ვართ, რომ თუ ეს ათი პრინციპი მიღებულ იქნა, ახლანდელი საერთაშორისო დაძაბულობა გარკვევით შენელდება და გაქრება მომაკვდინებელი შიში მოსპობის წინაშე, რომლითაც ახლა გამსჭვალულია მილიონობით ადამიანის გული.

ჩვენ ვაცხადებთ, რომ მშვიდობას მტკიცედ ვერ ჩაეყრება საფუძველი, სანამ არ აღმოვფხვრით ამ დაძაბულობას. ჩვენ მივესალმებით ყოველგვარ ნაბიჯს ამ მიმართულებით. ჩვენ მოვუწოდებთ მსოფლიოს ხალხებს გამოიყენონ ყველა შესაძლებელი საშუალება, თანხმობისა და ურთიერთგაგების მისაღწევად, რომლებიც გარდუვალად გამოიწვევენ განიარაღებას, ატომგულის იარაღის წარმოების, მისი გამოცდისა და გამოყენების აკრძალვას. ჩვენ მოვუწოდებთ მთელი მსოფლიოს ხალხებს თავისი ღონისძიებანი მეცნიერებისა და ატომგულის ენერგიის დარგში წარმართონ მშვიდობიანი მიზნებისათვის და კაცობრიობის სამსახურისათვის ხალხთა აყვავებისა და ფართო თანამშრომლობის ინტერესებისათვის თანასწორობის საფუძველზე და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების შესაბამისად. აზიისა და აფრიკის ხალხებს მიაჩნიათ, რომ იმპერიალისტური ბატონობა, უცხოეთის მიერ ექსპლოატაცია და ყოველგვარი სხვა ბოროტება, რაც ხალხთა დამორჩილების შედეგია, ნიშნავენ ადამიანებისათვის მათ ძირითად უფლებათა წართმევას, აგრეთვე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების დარღვევას, რომ არ ვიანგარიშოთ სხვა მავნე შედეგები როგორც მთავრობებისათვის, ისე იმათთვის, ვისაც მართავენ, რაც ხელს უშლის მშვიდობასა და საერთაშორისო თანამშრომლობას. იმპერიალიზმის შემდგომი არსებობა არ შეესაბამება ახალ ერას, რომელშიც ახლა მსოფლიო ცხოვრობს. აზიისა და აფრიკის ხალხებს მტკიცედ სწამთ ყველა ხალხის თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის უფლება.

აზიისა და აფრიკის ხალხებს სურთ მოქმედების ერთიანობა ერთმანეთისათვის დახმარების გასაწევად თავისი კეთილდღეობისათვის, ისე როგორც მთელი კაცობრიობის კეთილდღეობისათვის ბრძოლაში. ჩვენს დაუცხრომელ ღონისძიებას მოვახმართ მთელი მსოფლიოს მტკიცე მშვიდობის მიღწევას.

მშვიდობა უეჭველად გაიმარჯვებს.

კაცობრიობას შეუძლია მომავალს იმედით და რწმენით უცქიროს. ასეთია აზიისა და აფრიკის ხალხთა სოლიდარობის კაიროს კონფერენციის საახალწლო წერილი მთელი მსოფლიოსადმი.

**ტელეგადაცემათა პროგრამა**

**4 იანვრისათვის**

19.00 — ყველაზე პატარებისათვის — „მურზილკის თავგადასავალი" და „ისევ ორიანი". 19.40 — კინოჟურნალები. 20.10 — მხატვრული ფილმი — „წყნარი დონი" (პირველი სერია).

## დღეს

## თბილისის თეატრებში

**ოპერისა და ბალეტის** — ქეთო და კოტე (დილას), **რუსთაველის სახელობის** — ზვავი (დილას), ახალგაზრდა მასწავლებელი (საღამოს), **მარჯანიშვილის სახელობის** — რიჩარდ III, **გრიბოედოვის სახელობის** — კიკვიძე, **სომხური დრამის** — მეფე ჩახჩახი (დილას), ლუსი ლისინიანი (საღამოს), **მუსიკალური კომედიის** — კომბლე (დილას), დალი (საღამოს), **მოზარდ მაყურებელთა ქართული** — ამბავი ორი ბიჭისა (აბონემენტი № 32, 10 ს. და აბონემენტი № 3, 1 ს.), ბაში-აჩუკი (აბონემენტი № 15, 7 ს.), **მოზარდ მაყურებელთა რუსული** — ია და ცისკარა (11 ს. და 2 ს. 30 წ.), **თოჯინების ქართული** — თოვლის პაპა (11 ს.), დიდი ივანე (2 ს.), **ფილარმონია** — ახალგაზრდობის საახალწლო საღამო (საზამთრო თეატრი, 8 ს.).

მოქალაქე ვახტანგ იოსების-ძე **ნარეშელაშვილმა**, მცხოვრებმა გოგებაშვილის ქ. № 6, აღძრა საქმე პეტრიაშვილის ქ. № 22 მცხოვრებ მოქალაქე **ნათელა ვალერიანის ასულ კანდელაკთან** განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს თბილისის ორჯონიკიძის რაიონის სახალხო სასამართლო.

მამა ვლადიმერ, მეუღლე ნუნუ, შვილები ლიანა, მანანა იუწყებიან ექიმ

**ალექსანდრე (კიკული) ვლადიმერის-ძე თურქიას**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 5, 6-I, 8 ს. გამოსვენება 7-I, 4 ს. ბინიდან, ლენინის ქ. № 58.

შვილები არკადი, გივი, სილინჩა, და მარიამ ჯავახიშვილი ოჯახით; მარინე გაბეჩავა იუწყებიან

**იასონ იოსების-ძე გაბეჩავას**

გარდაცვალებას. დაკრძალვა 5-I სოფ. ორმეთში (ლანჩხუთის რ.).

მეუღლე თამარ, შვილები გოგოლა, გივი, ლიანა, ჯემალ, რძალი ლიანა, სიძე შ. კაკაბაძე; გ. კაკაბაძე, ს. ყუფარაძე იუწყებიან

**სამსონ ნიკოლოზის-ძე ყუფარაძის**

გარდაცვალებას. დაკრძალვა 5-I, 5 ს. სოფ. დიდ კუხში (წულუკიძის რ.).

დედა მარიამ, მეუღლე დეზდემონა, შვილი ნინო; ბაბილინა, დავით აბდალაძეები იუწყებიან

**გივი ვარლამის-ძე აბდალაძის**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 4-I, 7 ს. გამოსვენება 5-I, 3 ს. საგურამოს ქ. № 22.

თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიური ფაკულტეტის პროფესორ-მასწავლებლები და სტუდენტები იუწყებიან

**გურამ ლავრენტის-ძე ტაბატაძის**

გარდაცვალებას. დაკრძალვა 5-I, სოფ. ცემში (ბორჯომის რ.).

მეუღლე მარიამ; ლიდა და ელისაბედ შარლემანები იუწყებიან ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის, პროფესორ

**იოსებ ადოლფის-ძე შარლემანის**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 4-I, 8 ს. ვაჟა-ფშაველას ქ. № 11, გამოსვენება 5-I, 2 ს. თბილისის სამხატვრო აკადემიიდან.

მთავარ თბილმშენის მე-5 სამშენებლო სამმართველოს თანამშრომლები იუწყებიან სამმართველოს უფროსის

**შალვა ბაგრატის-ძე გაბუნიას**

გარდაცვალებას.

ძმები ბუღდან, გიორგი, პაიკა, დები სათენიკ, შუშანა, რძლები ოლღა, მანანა, მარიამ; გიორგი აჯამამუდოვი იუწყებიან

**მანანა მიხეილის ასულ აჯამამუდოვის**

გარდაცვალებას. დაკრძალვა 5-I, 3 ს. სოფ. გურჯაანში.

მეუღლე ფილიმონ, შვილები მერი, ანდრო, დები თამარ, შურა, ნინო, ძმა მიხეილ, რძალი ნაზიკო ქართველიშვილი, სიძე ვ. რუხაძე ოჯახებით იუწყებიან

**ანა გიორგის ასულ გაფრინდაშვილი-ბლუაშვილის**

გარდაცვალებას. დაკრძალვა 7-I, 5 ს. ქიათურაში, გამოსვენება წულუკიძის ქ. № 20.

მამა თედორე, მეუღლე ნადია, შვილები კონა, ნინო, ოთარ, სიძე ვ. ხასაია ოჯახებით იუწყებიან

**დომენტი თედორეს-ძე ფოფხაძის**

გარდაცვალებას. დაკრძალვა 5-I, 4 ს. სამტრედიაში, გამოსვენება სტურუას ქ. № 9.

მეუღლე ივანე, შვილები დავით, ოლიფანტე, სიძე შალვა ოჯახებით იუწყებიან

**ირინე ნიკოლოზის ასულ კაპანაძე-კახაძის**

გარდაცვალებას. დაკრძალვა 5-I სოფ. დიდ-ჯიხაიშში (სამტრედიის რ.).

გეოლოგიურ საძიებო ტრესტის „საქნახშირმადნეულძიების" კოლექტივი იუწყება

**მიხეილ ილარიონის-ძე ლოლობერიძის**

გარდაცვალებას. დაკრძალვა 4-I, ქ. ფოთში, გამოსვენება ცხაკაიას ქ. № 37.

შვილები ნინო, ალექსანდრე, ზაქარია ოჯახებით იუწყებიან

**ანა ივანეს ასულ პოლტარაცკაია-ნიჟარაძის**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 4-I, 8 ს. გამოსვენება 5-I, 3 ს. ბინიდან, ლენინის ქ. № 26.

ქ. თბილისის ორჯონიკიძის რაიონის იურიდიული კონსულტაცია იუწყება

**ანა გიორგის ასულ ჭიჭინაძის**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 4-I, 8 ს. გამოსვენება 5-I, 2 ს. კერესელიძის ქ. № 3.

და ელენე კუკულაძე, ძმა ესტატე ჯაჯანაშვილი ოჯახებით იუწყებიან

**ეკატერინე დავითის ასულ ჯაჯანაშვილი-რუსიშვილის**

გარდაცვალებას. გამოსვენება 4-I, 4 ს. ბორბალოს შესახვ. № 5.

მეუღლე მათიკო, შვილები პლატონ, შურა, რძალი საშა, სიძე გ. მანია; ალექსანდრე, ვლადიმერ, გიორგი, ციალა კალანდიები ოჯახებით იუწყებიან

**დიმიტრი ბოგის-ძე კალანდიას**

გარდაცვალებას. დაკრძალვა 5-I, ქ. ზუგდიდში, გამოსვენება ერევნის ქ. № 32.

დები მარიამ, სოფიო, ბარბარე, ნინო, ძმა პეტრე, რძალი ზინაიდა, სიძეები ი. ჯანდიერი, ა. ზურაბიშვილი, შ. საფარიშვილი; ირაკლი, თინა მაჭავარიანები ოჯახებით იუწყებიან

**კონსტანტინე იაკობის-ძე ისარლიშვილის**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 4-I, 8 ს. გამოსვენება 5-I, 3 ს. რენინგერის ქ. № 9.

მეუღლე მარიამ, შვილები სოსო, ოთარ, თამარ, ელენე; ნადია, ანა ოქროპირიძეები ოჯახებით იუწყებიან

**ივანე ანდრიას-ძე ოქროპირიძის**

გარდაცვალებას. დაკრძალვა 5-I, 2 ს. სოფ. დისევში (სტალინირის რ.).

რედაქციისა და გამომცემლობის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14. ტელეფონები: რედაქტორის — 3-62-26 რედაქტორის მოადგილეების — 3-63-03, 3-82-05, პასუხისმგებელი მდივნის — 3-08-67, სამდივნოსი — 3-06-88, განყოფილებებისა: პარტიული ცხოვრების და მარქსისტულ ლენინური თეორიის პროპაგანდის — 3-81-84, მრეწველობისა და ტრანსპორტის — 3-16-90, სოფლის მეურნეობის — 3-20 43 კულტურისა და ყოფაცხოვრების, ლიტერატურისა და ხელოვნების — 3-80-84, საბჭოთა მშენებლობის, კორესპონდენტთა ქსელის, პრესის მიმოხილვისა და პარტმშენებლობის — 3-57-61, ადგილობრივი ინფორმაციის — 3-32-46, უცხოეთის ინფორმაციის — 3-80-83 წერილების — 3-73-24, განცხადებების მიღების — 3 64-42, გამომშვების — 3-81-65, გამომცემლობის დირექტორის — 3-65 41, სტამბის დირექტორის — 3-77-70.

უე 00602 საქართველოს კპ ც. კ-ის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", ლენინის ქ. № 14. 2